საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 12 ნოემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 15 მანეთი განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 258 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 258

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი
მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

ქალაქის პირველი საავადმყოფო მწუხარებით აუწყებს ნაცნობს და მეგობრებს, რომ ნოემბრის 10 სა დილის 7 საათზე გარდაიცვალა საავადმყოფოს თანამშრომელი, ექიმის თანაშემწე

ალექსანდრა სიმონის ასული გახტაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 4 საათზე საავადმყოფოში. (3636—1—1)

ღრმად დამწუხრებული მშობლები იასონ (სიმონ) და მატრონა, ძმები: გიორგი, მიხეილ, დები: დარია და ნინა, რძლები: ელენე და ეკატერინე და ძმისწული ლეონიდი აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას ძვირფასი

ალექსანდრა (საშას) სიმონის ასული გახტაძე

რომელიც გარდაიცვალა 10 ნოემბერს დილის 7 საათზე ქალაქის საავადმყოფოში ავლაბარში. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან ბინაზე (რკინის გზის სახლები მთავარ სახელოსნოსთან სახ. № 9 ბ. № 17, დღეს 3 საათზე, დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გულდამწვარნი გიორგი ხიმონის ძე და ელენე პეტრეს ასული ბახტაძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 10 ნოემბერს დილის 7 საათზე უდროოთ დასჭკნა ნორჩი სიცოცხლე დაუვიწყარის და საყვარელის პირველის დის და მეორის მეგობარი მულის

ალექსანდრა (საშა) სიმონის ასული გახტაძე

გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან ბინაზე, რკინის გზის სახლები მთავარ სახელოსნოსთან სახ. № 9. ბ. № 17. დღეს 3 საათზე, დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ღრმად დამწუხრებულნი: დედა—ნინო, მამა—ალექსი, ძმა—ხუთუ და და—ოლღა (დულა) ხუბუტიები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 12 ნოემბერს ახალ-სენაკში 10 საათზე წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება ნახევარი წლის წირვა და შემდეგ პანაშვიდი ძმათა სასაფლაოზე დაუვიწყარის გვარდიელ

პლატონ ალექსის ძე ხუბუტიას

სულის მოსახსენებლათ. (3638—1—1)

მწუხარებაში მყოფი და ანნა სოლომონის ასული ელბაქიძისა, დეიდა ოლღა სიმონის ასული ბათიევისა მეუღლითურთ, ნატალია ჯა-[illegible] ამით აცხადებენ რომ შაბათს, 13 ნოემბერს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ნაძალადევში, ღვთის მშობლის ეკლესიაში დილის 11 ს.

ივანე (ვანიჩკა) სოლომონის ძე ელბაქიძის

სულის მოსახსენებლათ. (3639—1—1)

გულ-დათუთქულნი ლიუბა მელიტონის ასული და კარპეზ მაქსიმეს ძე ქლენტები აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობებს რომ 13 ამა ნოემბერს სოფელ ჩომეთის ეკლესიაში დანიშნულია წლის თავის წირვა და პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპული მათი უსაყვარლესი პირველის ძმის და მეორეს ცოლის ძმის გვარდიელის

ტარიელ მელიტონის ძის ჟენიას

სულის მოსახსენებლად. (3643—2—1)

სამუდამოთ გულ დათუთქულნი, იმედ დაღუპულნი და ღრმად დამწუხრებულნი მარიამ აბრამის ასული ხირსელისა, ალექსანდრე, ნიკოლოზი, კოსტია ივანეს ძენი და ნინო ივანეს ასული ხირსელები, ამით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 8 ნოემბერს ა. წ. საღ. 9 საათზე, საყვარელი ძვირფასი და დაუვიწყარი მათთვის

ივანე აგატონის ძე ხირსელი

ქმარი პირველის ხოლო მამა უკანასკნელთა. პანაშვიდი დღეს საღ. 6 საათზე საკუთარ ბინაზე, კვირაცხოვლის ქუჩა მე-2-რე შესახვევი № 6. ცხედრის გამოსვენება ხვალ დილ. 9 საათზე ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა ამავე დღეს კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (3644—1—1)

საარტილერიო კურსები

რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროსაგან დაარსებული საარტილერიო, საპიროტექნიკო და საიარაღო ტექნიკოსების მოსამზადებლად

გაიხსნება 15 ნოემბერს 1920 წ.

თხოვნების მიცემა და საჭირო ცნობების მიღება შეიძლება საარტილერიო სექციაში. ბარიათინის ქ. სახაზ. სახლი. (3584—3—3)

მეორე ქართული კლუბი

პარასკევს, 12 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია

საგანგებო საზოგადო
კრების გაგრძელება

ფრიად საჭირო საკითხის განსახილველათ. წევრთა დასწრება აუცილებელია. (ნ. 1—1)

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტ.—რუსთ. პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

შაბათს, ნოემბრის 13-ს

მსხვერპლი

ი. გედევანიშვილისა.

ახალი დეკორაციები მხატვრის ვალ. სიდამონ-ერისთავისა. რეჟისორი ალ. წუწუნავა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. (ნ. 2—1)

სახელმწ. თეატრი.

12 ნოემბერს

ბალეტის საღამო მიხ. მორდკინისა

13 ნოემბერს—ოპერა მუშებისათვის ტაისი. 14 ნოემბერს—კარმენი. 15 ნოემბერს კოტე და ქეთო. დასაწყისი საღ. 8 საათ. (ნ. 1—1)

დამფუძნებელი კრების მუშაობის განახლება

ჩუმად და შეუმჩნევლად განაახლა თავისი მუშაობა დამფუძნებელმა კრებამ. სხვადასხვა წმინდა ტეხნიკური მიზეზების გამო მისი ოფიციალური მუშაობის შეჩერება ხანგრძლივი გამოდგა. მაგრამ მუშაობის შეჩერების დროსაც არ ყოფილა ისეთი წამი, როდესაც იგი ფხიზლად არ მდგარიყოს თავის სადარაჯოზე. ამ დროს განმავლობაში დამფუძნებელი კრება ორჯელ შეიკრიბა არაჩვეულებრივს სხდომაზე: ერთხელ—საზეიმოდ, როდესაც საქართველოს ეწვივნენ ძვირფასი სტუმრები, ევროპის სოციალისტური პარტიების დელეგატები, მეორედ გასაჭირში, როდესაც საქართველოს საზღვრებთან გაჩნდა საფრთხის აჩრდილი. დასვენების ჟამსაც ჭირშიც და ლხინშიაც დამფუძნებელი კრება ხალხის სულისკვეთების ჭეშმარიტი გამომხატველი იყო.

მომავალი სესია ძლიერ მნიშვნელოვანი იქნება, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ყველა წინანდელი სესიები. დამფუძნებელმა კრებამ უნდა დააგვირგვინოს ის საქმე, რომლისათვისაც იგი 1½ განმავლობაში ემზადებოდა და რომელიც მისი „დამფუძნებელი“ ფუნქციების მთავარ მიზანს შეადგენს: მან უნდა მიიღოს საქართველოს კონსტიტუცია. არ უარვყოფთ იმას, რომ კონსტიტუციის შედგენა მეტათ გაგრძელდა. მაგრამ იმასაც ვერავინ უარყოფს, რომ ამ გაგრძელების მიზეზები მრავალია და უმთავრესი მათგანი დამფუძნებელი კრებისაგან დამოუკიდებელია. მთავარი მიზეზები უნდა გარეშე პირობებში ვეძიოთ, უმთავრესად იმ გარემოებაში, რომ დღიდან დამოუკიდებლობის გამოცხადებისა საქართველოს ისტორიაში არ ყოფილა არც ერთი ისეთი თვე, რომ მას არ დასჭირებოდეს ფიქრი და ზრუნვა თავდაცვისა და თავის სიცოცხლის გადარჩენისათვის. კონსტიტუციის შესამუშავებლად საჭიროა სახელმწიფოს ცხოვრება ცოტად თუ ბევრად მაინც ნორმალურად, წესიერად მიმდინარეობდეს. არსებობისთვის ბრძოლა, საომარი მდგომარეობა ძლიერ არა ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენს კონსტიტუციის შედგენისათვის. ამისთანა პირობებში შექმნილ კონსტიტუციას მუდამ აჩნევია წარმავალი ქარტეხილების და მღელვარების ბეჭედი. ისე რომ კონსტიტუციის მიღების დაგვიანება, შეიძლება, არც ისეთი დიდი „მინუსი“ იყოს ჩვენი დამფუძნებელი კრებისა, როგორათაც ამას უთვლიან ოპოზიციონური პარტიები.

ამ დღეებში „საქართველომ“ ის აზრი გამოსთქვა, რომ დამფუძნებელი კრების „ნამოღვაწარი სრულიადაც არ ანაზღაურებს მაზე გაწეულს ხარჯებს“. ჩვენ არც გვაკვირვებს და არც გვალონებს დამფ. კრების მოღვაწეობის ასეთი დაფასება ჩვენი ბურჟუაზიული ნაციონალისტების მიერ. ცხადია, მათ არ უნდა მოსწონდეთ სოციალური გათანასწორების ტენდენციები, რომლებიც სათავეში უდევს ჩვენი დამფუძნებელი კრების მთელს მუშაობას. ინდივიდუმის გამაღმერთებელი ბურჟუაზიული გონება ვერ შეურიგდება კოლექტივის სარგებლობის პიროვნულ სარგებლობაზე მაღლა დაყენებით. რაც შეეხება „ანაზღაურების“ ნივთიერს მხარეს, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ დამფუძნებელ კრების მოღვაწეობა სრულიადაც არ მოითხოვს რაიმე ზედმეტს ხარჯებს იმასთან შედარებით, რაც იხარჯება ხალხის მიერ არჩეულს ჩვეულებრივს უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაზე, და საინტერესოა ვიცოდეთ. რა აქვს სახეში „საქართველოს“, როდესაც იგი ლაპარაკობს „უფრო იაფ-ფასიანი“ დაწესებულება. ნუ თუ მარტო ის, რომ 130 დეპუტატის ნაცვლად უნდა იყოს, ვთქვათ, მხოლოდ 100 დეპუტატი? ეს ისეთი მცირე განსხვავებაა, რომ ამაზე სერიოზულად ლაპარაკიც არ ღირს. სხვა ხარჯებში „საქართველოს“ ბანაკს ასეთი ხელმომჭირნეობა ჯერ არ გამოუჩენია.

ზაფხულის თვეები ჩვენი რესპუბლიკისათვის შედარებით წყნარი იყო და ჩვენც იმედი მოგვეცა, რომ სესიის განახლებიდან დამფუძნებელი კრება გულდამშვიდებით და დინჯათ შეუდგება კონსტიტუციის პროექტის განხილვას. სამწუხაროდ, ეს იმედიც არ მართლდება, რადგანაც საქართველოს კიდევ ერთხელ გამოუჩნდა სერიოზული საფრთხე. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ მოკლე ხანში ამ საფრთხესაც ისევე ავიცილებთ თავიდან, როგორც აგვიცილებია უფრო დიდი და უფრო სერიოზული საფრთხეები, და დამფუძნებელ კრებას არ მოუნდება შეცვალა მუშაობის იმ გეგმისა, რომელიც მან ზაფხულში შეიმუშავა და რომლის პირველ რიგში კონსტიტუციის პროექტის განხილვაა აღნიშნული.

ვისურვოთ, რომ ამ გზაზე მას არ გადაეღობოს არავითარი დაბრკოლება და რომ მან ღირსეულად დააგვირგვინოს თავისი არსებობის უმთავრესი საგანი.

ქემალი და რუსეთი

მოსკოვის მთავრობა დიდი ხანია უწყობს ხელს ანგორის მართველებს. ანტანტის წინააღმდეგ აჯანყებული ფაშები—საკმარისი საბუთია მათი თანაგრძნობისთვის.

მაგრამ მოსკოვს, არ გვგონია, არ ესმოდეს ფასი და მნიშვნელობა ამ ალიანსის, ამ უღლეური და არა ბუნებრივი კავშირის, რომელიც უფრო უტეხს სახელს, ვინემ ქმალს.

სამაგიეროთ ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივი ეპიგონები კომუნიზმისა—სრულიად ვერ გრძნობდენ ამ კავშირის ნამდვილ ბუნებას.

მათ ქემალი რევოლუციონერათ დასახეს. მისი მოძრაობის პანისლამისტური და მაშასადამე რეაქციონური ხასიათი ვერ დაინახეს და იგი ეროვნულ, განთავისუფლებელ ბრძოლად გაასაღეს.

მართალია ოსმალეთის ეროვნული განთავისუფლებისთვის არ იყო საჭირო სომხეთის გასრესა, არ იყო საჭირო ყარსის და გუმბრის აღება, სომხის ხალხის აწიოკება, რუსეთის ძველი საზღვრების გადმოლახვა. ანტანტის ძალები სულ სხვა მხარეს იდგა. საბერძნეთის და მოკავშირეთა ჯარი ხმელთა შუა ზღვის ნაპირებისკენ ითხოვდა მათ ძალას.

მაგრამ ეს თფილისელმა კომუნისტების ორგანომ ვერ გაიგო ან არ დაინახა.

მან ქემალის რევოლუციონერების სახელით სომხეთის დაშნაკების დანგრევა პროგრესიულ მოვლენათ აღიარა.

დაშნაკელებზე არც ჩვენ ვართ დიდი შეხედულების—მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ქემალის ფაშური სულისა და პანისლამისტური მისწრაფებასთან მისი შეფარდება ყოველ შემთხვევაში არ შეიძლება. ეს უკვე ისეთი უაზრობაა, რომელსაც მხოლოდ „კომუნისტი“ თუ გამოიგონებს, თორემ გონურ კაცს თავში არ მოუა.

მით უმეტეს სასაცილოა ბოლშევიკების მტკიცება, თითქოს ეს ომი ქემალისა და სომხეთის შორის დაშნაკელების მიზეზით იყოს გამოწვეული.

გუშინდელი თავის ისტორიის უცოდინარი კომუნისტი ივიწყებს, რომ ოსმალეთის სომხეთის ავტონომია თვით საბჭოთა რუსეთისაგან იყო აღიარებული თავის არსებობის პირველ დღეებშივე. მაშასადამე მაშინ კანონიერ მოვლენათ იყო ცნობილი ის, რაც სევრში დაიწერა.

ცხადია, მოსკოვის მთავრობამ თუ ფრონტი იცვალა, მას სხვა მიზნები ქონდა და არა ის უაზრო საბუთები, რომლითაც ადგილობრივი კომუნისტები ღეჭდენ და ვერ გადაღეჭეს ეს ფეოდალური ფაშების გამართლება.

დღეს, როგორც სჩანს, „კომუნისტის“ რედაქციაშიაც ოდნავ შეუნათებია მათთვის შორეული გონიერების შორეულ ნაპერწკალს. დღეს ისინი თითქო გრძნობენ, რომ ქემალ ფაშა ის არ არის, რაც მათ ეგონათ, რომ იგი იგივე ფაშაა, რომელიც 1918 წელს მოიმართებოდა ბათომ-ყარსის ასაკლებათ.

რუსული და ქართული „კომუნისტი“ თითქოს ეჭვებს ეძლევა, მაგრამ მაინც ვერ დარწმუნებულა, რომ მოსკოვის მეგობარი ანგორის მთავრობა ასეთ მუხანათობას ჩაიდენს, კომუნისტური წითელი დროშის შესარცხვენს. ჩვენ კი ეს დიდი ხანია ვიცოდით. დარწმუნებულიც ვიყავით, რომ ანგორის ფაშები თავის ბუნებას ვერ შეიცვლიდენ და წითლებთან კავშირით ვერ გადახალისდებოდნენ. ახლა ყველასათვის უდავო უნდა იყოს ის გარემოება, რომ ქემალს თავის პანისლამისტური მიზნები აქვს და მოსკოვის გამოყენებაც სურს ამ მიზნისათვის, რომ ქემალის მთავრობა ყოველთვის მზათ იქნება თავის „წითელ მოკავშირეს“ ხანჯალი დაუგოს, თუ ხელსაყრელი დრო უშოვნა, ან თუ ანტანტამ ცალი თვალი მაინც დაუქნია. მას, დარწმუნებული ვართ, „წითელი არმიის“ შეხედვა ისე მოსწონს როგორც ძაღლს ჯოხი. არც მეტი არც ნაკლები.

საქართველოს დემოკრატიამ ეს დიდი ხანია იცის. იცის ისიც, რომ გველმა რაც უნდა იცვალოს კანი გული და კბილი მაინც შხამიანი დარჩება, ამიტომ იგი ქემალის მეზობლობას უშიშარ მდგომარეობათ ვერ ჩათვლის. ბალშევიკები არ იდარდებენ, თუ საქართველო გაისრისა და ბალშევიკურ რუსეთის საპატრონო შეიქნა, ჩვენ კი ამის დიდი წინააღმდეგი ვართ. ჩვენ გვინდა ჩვენ თავს თვითონ მოუაროთ. ეს ინსტიქტი თავდაცვისა კი გვეუბნება, რომ იარაღიან მტერს მხოლოდ ხმლის დახვედრება აალაპარაკებს მეგობრულ კილოზე და არა სახარების, გინდა ყურანის მის თავზე წაკითხვა. ამიტომ ჩვენ არ ვაპირებთ ქადაგებას იქ, სადაც ძალის გამოჩენაა საჭირო. ჩვენ იარაღში ვსხდებით. ჩვენ თოფ ზარბაზანს მოვიმარჯვებთ. მაგრამ იცის საქართველოს ხალხმა, რომ არც ერთი კაცის სისხლს ჩვენ არ გავიმეტებთ დასაღვრელად, თუ ამას ქვეყნის ინტერესები გადაჭრილათ არ მოითხოვს.

ჩვენ დავდგებით საკუთარ საზღვრებზე; მომხდურს პასუხს გავცემთ, მეზობელს—მეზობლურათ მოვეპყრობით. რუსეთს შეუძლია პოლიტიკური თამაში გამართოს ქემალთან და კიდეც რომ იზარალოს, ამით ბევრი არაფერი დააკლდება.

საქართველო ასეთ თამაშს ვერ ითავებს. მას რამდენიმეთ სერიოზული დამარცხება უკვე თითქმის სრულ განადგურებას მოუტანს.

ამიტომ ვერ ვენდობით ჩვენ ქემალ-ფაშის მეზობლობას. ამიტომ ვკრებთ ჯარს. ამიტომ ვდგებით დარაჯათ ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე.

პრესა

რუსული „Коммунист“-ი მაინც კიდევ ჯიუტობს და არწმუნებს საქართველოს დემოკრატიას, რომ „ქემალ-ფაშის კოლოდი ჯერ კიდევ არ არის გაშლილი“, რომ საქართველოს მთავრობას და მმართველ პარტიას ალიაქოთი მხოლოდ „შეშინებულმა გონებამ“ აატეხინა. მაგრამ გაზეთი აკეთებს ერთ დამამშვიდებელ განცხადებას.

„თქვენ მოითხოვთ, რომ ქემალმა იცნოს საქართველოს სუვერენული უფლება მთელ ტერიტორიაზე ისე, როგორც ეს გამოხატულია საბჭოთა რუსეთთან ხელშეკრულებაზე?“

„თქვენი მოთხოვნილება სრული სამართლიანია და ქემალი ვალდებულია, რასაკვირველია, იცნოს მოსკოვსა და საქართველოს შორის დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საქართველოს საზღვრებში მთლიანად შედის ბათომის ოლქი. თუ ქემალმა არ იცნო ეს ხელშეკრულება, მას საქმე ექნება არა საქართველოსთან, არამედ პროლეტარულ რუსეთთან“.

პატიოსანი კაცის თვალში „სიტყვა ავალებს“. ახლო მომავალი დაგვანახვებს, რამდენათ არის პასუხისმგებელი ორგანოს ნაბიჯი „Коммунист“-ის ეს განცხადება, ეს სიტყვები რამდენათ იქნება განაღდებული და საჭიროებისამებრ საქმედ ქცეული.

ზოგი რამ

ვაჭრები და სპეკულიანტები.

ცხოვრების გაძვირება რკინის სალტეთ შემოერტყა მომხმარებელს. მისი გაგლეჯა მეტად ძნელი შეიქნა. მართალია საქონელი ცოტაა, მოტანა გაძნელებულია, ამას კი დიდი გავლენა აქვს ფასების ზრდაზე და ამის წინააღმდეგ ბრძოლა დღევანდელ პირობებში არც ადვილია. მარა, არის კიდევ მეორე მიზეზი, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა შესაძლებელიცაა და აუცილებელიც. ესაა—ვაჭრების და სპეკულიანტების ბოროტი ნება-სურვილი. ვაჭრები მალავენ საქონელს, არ გამოაქვთ ბაზარზე, ქმნიან შეგნებულათ საქონლის ნაკლებობას და სარგებლობენ რა ამით, ზრდიან ფასებს და ივსებენ ჯიბეს. სარგებლობენ ყოველგვარი შემთხვევით, ყოველგვარი გაჭირვებით, რომ რაც შეიძლება მეტი მოიგონ, რაც შეიძლება მეტად გაზარდონ ფასები და ასე ხელს უწყობენ შინაური მდგომარეობის გამწვავებას და ამ ნიადაგზე არევ დარევის გამოწვევას. თუ გარეშე მტერი ლამობს სამხედრო ფრონტის გარღვევას, ვაჭრები და სპეკულიანტები შეგნებულათ არღვევენ შინაურ ფრონტს, შინაურ მყუდროებას და წესიერებას. როცა ხალხი ასე საჭიროებს სხვადასხვა საქონელს ამ ვაჭბატონებს საკმაოთ ბევრი საქონელი აქვს მიმალული და თუ დიდ ფასებს აიღებს, მხოლოდ მაშინ გამოაქვს ბაზარზე. არ ერიდებიან შეძენის და გამდიდრების ასეთ საშუალებას ბანკებიც, რომლებიც ასე სიამოვნებით შეუდგენ მსხვილ ვაჭრობას და ათასგვარ კომბინაციებში მონაწილეობენ რომ ყველა მიმალული საქონელი ბაზარზე გამოვიდეს, ეჭვი არაა, ფასები საგრძნობლათ დაიწევდა.

მართალია ეს არ იქნებოდა რაიმე რადიკალური ზომა სიძვირის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით რომ სპეკულიაცია ისეთივე თანამგზავრია ცხოვრების გაძვირების, როგორც მაღალი ტემპერატურა სახადიანი ავადმყოფის, მაგრამ, ისიც ვიცით, რომ სპეკულიაციის წინააღმდეგ მიღებული ზომები ანელებს მდგომარეობის სიმწვავეს და დღევანდელ პირობებში ესეც კარგია. ამიტომ ჩვენ ვითხოვთ სასტიკ ზომებს იმ ვაჭარ-სპეკულიანტების წინააღმდეგ, რომლებიც ფასების ხელოვნური ზრდით ხელს უწყობენ შინაური მდგომარეობის გართულებას. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი ზომები დღეს, როცა ქემალ ფაშის ყარსის და სხვა ამბები ასე ურცხვათ არის გამოყენებული თავის ჯიბის გასავსებათ. თვითეული ცნობა სომხეთის ფრონტიდან ერთი-ათად სწევს ფასებს ზევით. დილას რომ ერთი ფასია, ნაშუადღევზე—მეორე, საღამოს კიდევ სხვა. ეს ყოვლად დაუშვებელია და ასეთ მდგომარეობას საჩქაროთ უნდა ბოლო მოეღოს...

კიდევ ცემა.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი აცხადებს, რომ რუსეთის რევოლიუციის, სამი წლის დღესასწაულის დასრულების შემდეგ ზოგიერთი იქ დამსწრე პირები დაატუსაღეს და თან სცემეს. თუ ეს მართალია—ასეთი საქციელი ადმინისტრაციის აგენტებისა ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ არ გვჯერა, რომ ასეთ რამეს ქონოდეს ადგილი, ამიტომ ვითხოვთ განმარტებას ვისგანაც ჯერ არს.

კიდევ მაისურაძე.

ცხინვალის რაიონში თარეშობს ვინმე მაისურაძე, რომელსაც ათასგვარი ბოროტ მოქმედება ბრალდება. მის შესახებ რამდენიმე წერილი დაიბეჭდა. ამას წინად ჩვენც ვწერდით მის შესახებ და ვითხოვდით მის საჩქაროდ დატუსაღებას. ჩვენ გვაცნობეს, რომ ის უკვე დაატუსაღეს. გუშინ ჩვენ გაზეთში დაიბეჭდა წერილი ცხინვალიდან, რომელშიც იუწყებიან, რომ მაისურაძე ისევ გაუნთავისუფლებიათ და მთელი რაიონი აღელვებულიაო. გვინდა გავიგოთ, ვინ გაანთავისუფლა ის და რა მოტივით? ნუ თუ ასე გასაჭირია ერთი ბოროტ-მოქმედის ციხეში დამწყვდევა? ნუ თუ დასაშვებია ასეთი პიროვნების გულისთვის მთელ რაიონში მღელვარების და უკმაყოფილობის გამოწვევა?

ბადიაურის კამისარი.

ბადიაურის კომისარს თურმე მეტათ უყვარს კახური ნუნუა. სვამს დილიდან საღამომდე და ღვინით გალეშილი, სცემს უმოწყალოთ და შეუბრალებლად დიდსა და პატარას და შემდეგ ატუსაღებს. თუ ვინმემ გაბედა ხმის შებრუნება მას „ბუნტოვშჩიკათ“ აცხადებს და თავის მხეცურ საქციელს ამით ამართლებს. როგორც გადმოგვცეს შინაგან საქმეთა მინისტრს როგორც კი გაუგია ეს, მაშინვე მოუხდენია სასწრაფო განკარგულება მის შესაპყრობათ და თფილისში ჩამოსაყვანით.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ ბადიაურის მცხოვრებნი დღეიდან მაინც მოისვენებენ..

განი.

უკანასკნელი პასუხი

(ერთა საზოგადოების შესახებ)

ბ. გვაზავა არ მეშვება, თუმცა არაფერი კი გამოლევია. ჩემ გრძელ წერილში („ერთობა“ 249) მხოლოდ ერთ დებულებას მიუპყრია მისი ყურადღება. დანარჩენებში ალბათ მეთანხმება ან და საპასუხო ვერ უპოვია რა. მესმის მისი მდგომარეობა.

იმას მაგიერ, რომ მე მიკიჟინოს წაკითხულის არ გაგება ბ. გვაზავა კარგს იზამდა თვითონ ცდილიყო გაეგო შავით თეთრზე აღნუსხული.

ბ. გვაზავა რიხით მეუბნება: მარტო სახელმწიფოზე კი არ არის ლაპარაკი ვერსალის ხელშეკრულებაში, არამედ „ლიგაში“ შესვლა შეუძლიან სამფლობელოსა და ახალშენსო. მე ერთზე ვედავები, ის კი მეორეზე მელაპარაკება. უნდა გამოვტყდე და ვსთქვა, რომ ვერ გამიგია, რა სურს სთქვას ამით ჩემს მოკამათეს. მე თუ „სახელმწიფოზე“ შევჩერდი ჩემ წერილში, ეს იმიტომ, რომ საქართველო ამ კატეგორიას ეკუთვნის, ვინაიდან ის არ არის არც სამფლობელო და არც ახალშენი. მაშ, გასაგებია თუ რისთვის არას ვამბობ ამ უკანასკნელებზე.

ახალშენები არ არიან „ცნობილნი“ საერთაშორისო უფლების პრინციპების მიხედვით, მარა ლიგაში მაინც შევიდნენო. შედარება და მაგალითი სრულიად უვარგისია. მათი „ცნობა“ არც იყო და არც არის საჭირო. ახალშენები ეკუთვნიან ინგლისს. ეს კი ყველასათვის უდავოა და ისინი „ცნობილნი“ არიან თვით ინგლისის მიერ და ეს საკმაოც არის, რადგან ახალშენები, სრულიად დამოუკიდებელნი არ არიან. თუ ხსენებულ მუხლში მათ მიღებაზე არის ნათქვამი, ეს აიხსნება იმით, რომ ასეთი იყო სურვილი ერთა საზოგადოების პაქტის ავტორების და უმთავრესათ ინგლისის ზეგავლენით, რადგან ეს ხელსაყრელი იყო ამ სახელმწიფოსთვის.

დაბოლოს ასეთი არგუმენტით მაშინებს ბ. გვაზავა: „შევიდნენ აგრეთვე (ლიგაში—ე.) ახალი სახელმწიფოებიც—

დღეს

იტალიის სოციალისტების კონგრესმა გაილაშქრა ბალშევიკური მეთოდების წინააღმდეგ. კონგრესმა გამოსთქვა აგრეთვე თავისი მტრული დამოკიდებულება ვერსალის ხელშეკრულების მიმართ.

ბალშევიკების ცნობით პერეკოპთან წითლებს დაუძლევიათ ვრანგელის ჯარების სასტიკი წინააღმდეგობა. და აუღიათ პერეკოპის პოზიციები.

პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია“ და სხვ. რაზე ფიქრობდა ნეტავი ბ. გვაზავა, როცა ის ასეთ „ჭეშმარიტებას“ გვამცნობდა? ამ სახელმწიფოთ (ისე როგორც კანადას და სხვებს) ერთა საზოგადოებაში **შესასვლელად** არ ქონიათ საქმე, ჩემო ბატონო, რადგან ისინი—ეს თქვენ უნდა მოგეხსენებოდეს—თვით არიან ამ დაწესებულების **შემქმნელ, დამფუძნებელ წევრთა რიცხვში.** აშკარაა, მათ არა თუ ესაჭიროებათ სადმე შესვლა, არამედ თვითონ **ღებულობენ** სხვებს.

რაც შეეხება მათ ცნობას, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია ცნობილნი არიან არა თუ ეხლა, არამედ დიდი ხანია (მაშინაც კი როცა ისინი ფაქტიურათ კიდევ არც არსებობდენ ხეირიანათ). ეს სახელმწიფონი იყვნენ ანტანტის მოკავშირენი და პარიზის საზავო კონფერენციის წევრნი. რასაკვირველია, საქართველოს მათთან შედარება ამ შემთხვევაში შეუძლებელია, ეს ყველასათვის ცხადია, მარა რას არ იტყვის ადამიანი, როცა მას სათქმელი აღარ დარჩენია!

ამით ვათავებ გვაზავასთან კამათს ამ საკითხზე.

ანტონ ჟ.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 11.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბალშევიკური)

საფრანგეთის მემაღაროეთა ულტიმატუმი

მოსკოვი 10 ნოემ. საფრანგეთი მემაღაროეთა საერთო გაფიცვის საშიშროების წინ იმყოფება, მემაღაროეთა ფედერაციამ მთავრობას ხელფასის მომატების პროექტი წარუდგინა. მაღაროების მესაკუთრეთა ასოციაციამ კატეგორიული უარი განაცხადა მუშების მოთხოვნილებაზე. მუშებმა ამ ჟამად ულტიმატუმი წარადგინეს. თუ მუშების მოთხოვნილებანი არ იქნა დაკმაყოფილებული ისინი გაფიცვით იმუქრებიან.

ბრძოლა თეთრ ტერორთან

ვინაიდან ირლანდიაში თეთრი ტერორი კვლავ მძვინვარებს, ამიტომ დაარსდა საგანგებო კომიტეტი, რომლის მიზანსაც შეადგენს აიძულოს ბრიტანეთის მთავრობა ხელი აიღოს მის პოლიტიკაზე.

სამხედრო ცნობა

ყირიმის ფრონტი. პერეკოპის რაიონში, ჩვენმა ნაწილებმა სძლიეს მოპირდაპირის ძლიერი წინააღმდეგობა და დაიკავეს მისი გამაგრებული პოზიციები პერეკოპთან, დაიკავეს აგრეთვე სომხების ბაზარი და კარად შანანი(?) როოზდოვის დივიზიიდან ჩვენ 600 კაცი დაგვნებდა. ხელთ ვიგდეთ 4 ზარბაზანი.

შეფასება

რიგა. 8 ნოემ. ინგლისის მწერალი უელსი. რომელმაც ინახულა რუსეთი, ინგლისურ გაზეთებში რუსეთში მიღებულ შთაბეჭდილებების შესახებ წერილებს ათავსებს. იხილავს რა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას, იგი მთელ პასუხისმგებლობას ევროპის იმპერიალისტებს ახვევს თავზე.

ქვეყნის არევ-დარევის მიზეზათ უელსი სთვლის არა კომუნისტურ პრინციპების გატარებას, არამედ ინტერვენციის და ბლოკადის შედეგათ. მთელ პასუხისმგებლობას იგი საფრანგეთის მოვახშეებს და ინგლისის მოკავშირეთ ახვევს თავზე. საბჭოთა პარტიას მისი აზრით მხარს უჭერს დარაზმული კომუნისტური პარტია და იგი ერთად ერთი მთავრობა არის, რომელსაც შეუძლია იარსებოს რუსეთში. გლეხები უფრო კარგათ ცხოვრობენ ვიდრე ომამდე. მათ არა სურთ საბჭოთა მთავრობის ჩამოგდება, პირიქით თავის კეთილდღეობის მიზეზათ გლეხები ამ მთავრობასა სთვლიან. ბურჟუაზია გარბის ციმბირიდან.

მაღაროების გარშემო.

ვლადივოსტოკი. 10 ნოემბ. ამურის ოლქში მაღაროების მეპატრონეებმა მიატოვეს თავისი ქონება და გაიქცენ. მიღებულია ზომები მუშაობის აღსადგენათ.

ტერორი კორეაში.

კორეის რევოლიუციონერებმა მოაწყვეს რიგი ტერორისტულ აქტებისა. პოლიციამ ჩხრეკას ახდენს. აღმოაჩინეს დინამიტები და ყუმბარები.

გემ „ანკონას“ დაკავების გარშემო.

ცენ. აღმ. კომ. უწყებები მოწინავე წერილში სწერს: ინგლისის სამხედრო გემებმა შავ ზღვაზე დააკავეს იტალიის გემი „ანკონა“, რომელსაც ნოვოროსისკში საბჭოთა რუსეთისათვის საქონელი მოჰქონდა. ეს საქციელი ინგლისელებმა ახსნეს იმ გარემოებით, რომ მათ ეჭვი აუღიათ თითქოს ამ გემს საიდუმლოთ იარაღი მიჰქონდა. მაგრამ როდესაც გამოირკვა, რომ „ანკონაზე“ იარაღი არ იყო, გემი მაინც არ გაუშვეს. ეს ნიშნავს იმას, რომ ინგლისის მთავრობამ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბლოკადა განაახლა. ეს მან მოახდინა საიდუმლოთ, ვინაიდან რუსეთის ნავსადგურების ბლოკადის ქვეშ გამოცხადების შესახებ არავითარი ოფიციალური განცხადება არ ყოფილა. და ეს შევიტყვეთ პარიზში გამოცემულ თეთრ გვარდიელთა გაზეთით, რომელმაც როგორც ახალი ამბავი ეს ცნობა ტაიმსიდან გადმოიღო. ამ რიგად მთელი ქვეყანა გაიგებს, რომ კონსტანტინოპოლში მყოფმა მოკავშირეთა კომისიამ დაადგინა გამოაცხადოს შავ ზღვაზე ნაწილობრივი ბლოკადა. სხვა სახელმწიფოები—ინგლის-საფრანგეთის გარდა—ამ ზომას არ თანაუგრძნობენ. ყოველ შემთხვევაში გაზეთებში იყო ცნობა, რომ შეერთებულმა შტატებმა უარი განაცხადა რუსეთის ბლოკადაში მონაწილეობის მიღებაზე. დღეს დეპეშა გვიუწყება, რომ იტალიის მთავრობაც არ ყოფილა თანახმა ამ დადგენილებისა, რომელიც ეწინააღმდეგება უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს გადაწყვეტილებას—არ ჩაერიონ რუსეთის შინაურ საქმეებში.

აშკარაა ამ ზომის მიღებას წინ უსწრებდა მოლაპარაკება ანტანტის სახელმწიფოთა შორის და აშკარაა ისიც, რომ ინიციატივა ამ ბოროტმოქმედებაში ეკუთვნოდა იმავე საფრანგეთსა და ინგლისს. რით უნდა გაამართლოს ინგლისის მთავრობამ ბლოკადის განახლება. ამდენხანს ჩვენ გვქონდა ორი ახსნა: პირველი, რომელიც გაზ. „ტაიმს“ მოყავს, ამბობს, რომ მიზეზი იყო შეუძლებლობა ვრანგელსა და ბალშევიკების შორის მეკობრულ ომის დაწყებისა. სრულიად გაუგებარია რას ნიშნავს ეს? ინგლისის მთავრობას, შავ ზღვაზე მეკობრულ ომის დაწყების ხელის შესაშლელად, იმაზე უკეთესი ვერაფერი მოუგონია, რომ თვითონ დაიწყოს ასეთი მეკობრული მოქმედება საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. მეორე განმარტება, რომელიც ინგლისურ წყაროებიდან გამოდის, ამბობს, რომ ინგლისის მთავრობა ვრანგელის მხრით მოქმედების შიშით, თავის მხრივ ზომებს იღებს. გაუგებარია რა მოქმედებაზე არის აქ ლაპარაკი. თუ ვრანგელის მიერ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ წარმოებულ მოქმედებაზე არის ლაპარაკი, რატომ საბჭოთა რუსეთის ზღვის ნავსადგურები უნდა გამოაცხადონ ბლოკადის ქვეშ. ინგლისის მხრივ ეს დიდი ზრუნვა იქნებოდა ჩვენი ინტერესების დასაცავად, მაგრამ ჩვენ არ გვითხოვნია ასეთი დახმარება. შეიძლება ინგლისის მთავრობას ეშინიან მტრული მოქმედებისა ვრანგელის მხრით. ესეც ყოვლად გაუგებარია, ეს რომ ასე ყოფილიყო, რატომ ბრიტანეთის მთავრობა ვრანგელის ასეთ მოსალოდნელ საფრთხეზე უპასუხებს საბჭოთა ნავთსადგურების ბლოკადით და ამავე დროს ყირიმის ნავთსადგურებში აგზავნის გემებს ყირიმის ლტოლვილთა მდგომარეობის შესამსუბუქებლად, საქმე გამორკვეულია. ინგლისის მთავრობა ანახლებს სამტრო მოქმედებას საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ. გავიხსენოთ ჩვენ მიერ ნიკოლაევში წყალქვეშა ნავის ჩაშვების გამო გამოწვეული კერზონის მუქარა. არა ვრანგელის ფლოტის ეშინია ინგლისის მთავრობას, არამედ მას ეშინია ჩვენი წყალქვეშა ნავისა. ეშინია არა ამ ნავის თავდასხმისა, ბრიტანეთის ფლოტს ეშინია ვრანგელის წინააღმდეგ მიმართულ ჩვენი ოპერაციების. ინგლისის მთავრობა დიდ ხანს ეძებდა მიზეზებს თავდასასხმელად და ვრანგელის დასახმარებლად.

რუსეთი და ინგლისი.

ჩვენ ველით ინგლისის მუშების გადამწყვეტ და აქტიურ პროტესტს ინგლისის ასეთ პროვოკაციულ ზომების გამო, რომლითაც იწვევს იგი საბრძოლველად არა მარტო რუსეთის ხალხს, არამედ ინგლისის პროლეტარიატსაც.

ლიონის ცნობები

ვრანგელის ფრონტი.

გენ. ვრანგელი თავდაცვის ხაზს ამაგრებს. თავდაცვის ხაზის გამაგრების შემდეგ მისმა ჯარმა დიდი ზარალი მიაყენა ბალშევიკებს. სივაშის რაიონში წითლების შეტევა შეჩერებულია.

ოსმალეთის მთავრობა აგვიანებს.

საფრანგეთის პრესის ცნობით ოსმალეთის მთავრობა მოკავშირეებისაგან წარდგენილ ზოგიერთ პირობების ასრულებას აგვიანებს—განსაკუთრებით აგვიანებს იგი სევრის ხელშეკრულებას.

კაბინეთის კრიზისი ბელგიაში.

ბრიუსელში კარტონ-დე ვიარტმა მოლაპარაკება დაიწყო ბელგიაში ახალ კაბინეტის შედგენის მიზნით. კაბინეტში შევლენ სამი პარტიის: ლიბერალების, კატოლიკების და სოციალისტების წარმომადგენლები ისე, როგორც დელაკრუას სამინისტროში.

მანიფესტაციები ათინაში.

ვენიზელოსის მოწინააღმდეგებმა ათინაში მანიფესტაციები გამართეს. ორატორები, განსაკუთრებით გუნარისი ლაპარაკობდა, რომ აღდგენილ უნდა იქნეს კონსტანტინეს ტახტი... (დამახინჯებულია). მოჰკლეს ერთი ჟანდარმი. მანიფესტანტები ცეცხლის მსროლელმა რაზმმა გაფანტა.

ცერემონია ვერდენში.

ვერდენის ს-მაგრის უძველეს დარბაზში 9 აღნიშნულ სექტორიდან მოიტანეს 8 კუბო, ერთ-ერთ სექტორში ვერ გაარჩიეს სხეულებისაგან საფრანგეთის ჯარისკაცის საფლავი. დილით კუბოები სავსე იყო 20 მილიდან მოსული ხალხის მიერ მოტანილი ვარდ-ყვავილებით. მეზობელმა გარნიზონებმა გამოგზავნეს თავისი წარმომადგენლები. მოვიდნენ მოწაფეები მასწავლებლებით. ასე დაიწყო პირველი დღე დღესასწაულისა. ყოფილმა სერჟანტმა მეჟინომ თაიგული დაადო იმ კუბოს, რომელიც ხუთშაბათს გადატანილ იქნება ზეიმით სატრიუმფო არკაში.

ოთხშაბათს მარშალ ფოშის თანდასწრებით ბულონში შესდგა ცერემონია ინგლისელ უცნობ ჯარისკაცის ნეშთის გემზე გადასატანათ. მარშალ ჭენრი უილსონმა მარშალ ფოშს ინგლისის ჯარის სახელით მადლობა გადაუხადა.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ნოემბრის 5.

სამხედრო ცნობა.

ლონდონი. (რადიო) სივაშისა და პერეკოპის რაიონში საარტილერიო ბრძოლაა.

— თავრიდის ჩრდილოეთით ვრანგელის ჯარმა უკანასკნელ ბრძოლებში თავგანწირულება და გმირობა გამოიჩინა. წითლები დიდათ დაზარალდენ. თეთრი ჯარის ქვეითა ნაწილმა წითელთა ცხენოსნები 60 ნაბიჯზე მიუშვა, და შემდეგ უკან დაედევნა, ახლა ინიციატივა თეთრი ჯარის ხელშია.

— ანტიბალშევიკურ ძალებს შემდეგი ადგილები უკავიათ: დასავლეთით გენ. ბალახოვის ჯარს უჭირავს გომელი, გენერალ გორემიკინისა და მელნიკოვის კავალერიას ჟმერინკა, დაიამპოლ. იერიში მიაქვთ ბერდიჩევზე.

სომხეთის შინაური მდგომარეობა.

ერევანი. „ერაჩი“ შემდეგნაირად ასურათებს სომხეთის შინაურ მდგომარეობას: მთელი რესპუბლიკა გადაქცეულია შეიარაღებულ ბანაკათ. ჯარი იგზავნება ფრონტებზე. ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია ცდილობს მთელი ძალ-ღონით დახმარება გაუწიოს მთავრობას. მტერი შეუპოვარი და დაუნდობელია. მთავრობის განკარგულებით გამოცხადებულია ახალი მობილიზაცია. მთავრობის მიმართვამ სასურველ შედეგს მიაღწია. ჯარში ეწერება მრავალი მოხუციც. მტრის გასადევნათ საჭიროა მთლიანი ეროვნული ჯარი. მომავალში სომხეთი თავის არსებობის უზრუნველსაყოფათ უნდა შეიქნეს მკაცრი და დაუნდობელი. ჯერ კიდევ დიდ-ხანს სომხეთი უნდა იქნეს გადაქცეული შეიარაღებულ ბანაკათ. ეს აუცილებელია, წინააღმდეგ შემთხვევაში სომხეთი გადაიქცევა მხოლოდ უბრალო გეოგრაფიულ ტერმინათ, რომელიც საინტერესო იქნება მხოლოდ მომავალ ისტორიკოსებისათვის.

შაქრის წარმოება.

პარიზი. „ტანი“ საფრანგეთში შაქრის წარმოების გაძლიერებას აღნიშნავს. წინააღმდეგ 1914 წ. როდესაც სულ 44½ მილ. კილო შაქარი დამზადდა, 1920 წელში აგვისტოს 32-მდე 152.381.723 კილო შაქარი დაამზადეს. გაიზარდა შაქრის დამზადებელ ქარხნების რიცხვიც. შარშან იყო 51, წელს კი 60.

შუამდგომლობის უარყოფა.

მილანი. ერთა ლიგამ განიხილა რა საბჭოთა რუსეთის საპროტესტო ნოტა ბესარაბიის რუმინეთზე შეერთების გამო, ჩინეთის პროტესტი შანტუნგის შესახებ და სამხრეთ სლავიისა ადრიატიკის შესახებ, დაადგინა სათანადო შუამდგომლობანი უკუაგდოს.

ფასების დაწევა.

ნიუ-იორკი. პრესა იუწყება: უკანასკნელ დღეებში შენიშნულია პირველ საჭიროების საგნებზე ფასების მეტის მეტი დაწევა. სექტემბერში ოჯახის საშუალო ბიუჯეტს შეადგენდა 16 დოლარი წინააღმდეგ 17 დოლარისა, რომელიც საშუალო ოჯახს სჭირდება აგვისტოში.

იტალიის სოციალისტების კონგრესი.

რომი. რეჯიო დ' ემილიაში იტალიის სოციალისტების კონგრესი შესდგა. კონგრესმა რუსეთის რევოლიუციონურ მეთოდების წინააღმდეგ გაილაშქრა და იმედი გამოსთქვა, რომ ბალშევიზმი ვერ გავრცელდება იტალიაში, რომელსაც წინააღმდეგ შემთხვევაში სრული სიღარიბე მოელის. ამასთანავე კონგრესმა გამოსთქვა თავისი მტრული დამოკიდებულება ვერსალის ხელშეკრულების მიმართ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის მორიგი სხდომა.

◆ **დღეს, საღამოს 6 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია შეერთებული სხდომა ტფილისის კომიტეტის და ყველა რაიონულ კოლექტივებისა. გარდა კომიტეტის და კოლექტივის წევრებისა, სხდომაზე სხვა არავინ დაიშვება.**

◆ **ბრძოლა უკანონო რეკვიზიციის წინააღმდეგ.** შრომის სამინისტრომ აუწყა შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს, რომ ტფილისის მიდამოებში სისხლის სამართლის მილიციის წევრები და სახალხო გვარდიელები იარაღით მცირე ფასებში ართმევენ მცხოვრებლებს მოტანილ საქონელს. ართმევენ ისეთ საქონელსაც კი, რომელიც დანიშნულია მუშათა მაღაზიის სასურსათო ფონდისათვის. მაგალითად ამ დღეებში მათ წაართვეს ნახშირი, რომელიც მოჰქონდათ მუშათა მაღაზიისათვის გომბორიდან, მიუხედავათ იმ მოწმობისა, რომელიც მათ მიცემული ქონდათ ადგილობრივ რევიზორი ნანეიშვილისაგან. შრომის სამინისტრომ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს, და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს სერიოზული ყურადღება მიაქციონ ასეთ მოვლენებს და მიიღონ შესაფერი ზომები, რომ ასეთ ბოროტმოქმედებას ბოლო მოეღოს.

◆ **სათემო არჩევნები.** ტფილისის სამაზრო ერობის მიერ ახლად გადამიჯნულ თემებს, სართიჭალის, ხაშმის, პატარძეულის, გომბორის, მარტყოფის და ნორიოს თემებში მოხდა თემების ხმოსნების არჩევნები კვირას, 7 ნოემბერს. მიუხედავათ ძლიერ ცუდი ამინდების, ხალხი თანაგრძნობით მოეკიდა არჩევნებს. მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 75% მა. ხმები მიიღეს მხოლოდ სოც.-დემ. სიების კანდიდატებმა.

◆ **ბრძანება რესპუბლიკის ჯარების მიმართ.** ნოემბრის 10 დავბრუნდი შვებულებიდან და შევუდექი ჩემი მოვალეობის ასრულებას. დღეიდან ჩემი მოვალეობის დროებითი აღმასრულებელი გენერალი ოდიშელიძე თავის პირდაპირი მოვალეობის ასრულებას დაუბრუნდება. სამხედრო მინისტრი გრ ლორთქიფანიძე.

◆ **იტალიის მისია.** იტალიის მისიას აუწყებენ, რომ ამ დღეებში ერევნიდან ტფილისს ჩამოვა სომხეთში მყოფი იტალიის წარმომადგენელი გორინი.

◆ **ბინის საკითხი.** შრომის სამინისტრომ პროფ. კავშ. საბჭოს მდივანს, რკინის გზელთა კავშირის ცენტრ. გამგეობას, სახალხო გვარდიის შტაბს და ქალაქის საბჭოს შემდეგი აცნობა: მუშებისათვის ბინის საკითხის სიმწვავის შესამსუბუქებლად შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა ქალაქის საბჭოს საბინაო განყოფილების რეკონსტრუქციის შესახებ. ეს განყოფილება უნდა გადაკეთდეს კომიტეტად, რომელშიაც შევლენ ზემო აღნიშნული ორგანიზაციების და შრომის სამინისტროს წარმომადგენლები. კომიტეტს თავმჯდომარეობას გამგეობის წევრი გაუწევს. თავისუფალი ბინები და აგრეთვე ის ბინები, სადაც შესაძლებელი იქნება ჩასახლება, კომიტეტმა მუშებს შორის უნდა განაწილოს. ქალაქის საბჭო დაეთანხმა საბინაო განყოფილებას გადახალისების ასეთ გეგმას და ზოგიერთი შესწორებანიც შეიტანა შიგ. ამიტომ შრომის სამინისტრო წინადადებას აძლევს ზემო აღნიშნულ ორგანიზაციებს აირჩიონ წარმომადგენლები, რომლებიც შევლენ საბინაო კომიტეტში მუდმივ წევრად. ამასთანავე უნდა აირჩეს ამ წარმომადგენლების კანდიდატებიც.

◆ **სასურსათო ცხოვრება.** ქალაქის საბჭოს სასურსათო განყოფილება იუწყება: სასურსათო მაღაზიებში მცხოვრებთათვის ბარათების დარიგების საქმე ინტენსიურად მიმდინარეობს. ბარათების დარიგებას საჭირო ფორმალობების აუსრულებლობის გამო დიდი დაბრკოლებანი ელობება. ამიტომ სასურსათო განყოფილება სთხოვს მცხოვრებლებს დაწვრილებით გაეცნონ განყოფილების განცხადებებს, რომლებიც ნოემბრის 6 და 7 გაზეთებში დაიბეჭდა. სავაჭრო სამრეწველო პალატამ გამოუშვა მორიგი სავაჭრო ბიულეტენი. ბიულეტენში აღნიშნული ფასები აშკარავებენ, რომ ზოგიერთ საქონლის ფასები დაცემულია. ფასის დაცემის ტენდენცია განსაკუთრებით ტყავის საქონელს ეტყობა. ამასთანავე ქაღალდის ფასმა ძლიერ აიწია. გაწმენდილ ბამბის ფასი 12,000-დან 10 და 11 ათასამდე დაეცა. აიწია ფქვილის, სიმინდის და ლობიოს ფასმა.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროში.** ფინანსთა სამინისტრომ და სახელმწიფო კონტროლმა მოიწონა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხსენება მდინარე გუბაზეულზე (ოზურგ. მაზ.) ხიდის გაკეთების შესახებ. ამ ხიდის გასაკეთებლად გამოთხოვნილია 954 ათასი მანეთი. სათანადო პროექტი მთავრობას წარედგინა განსახილველად.

◆ **ჰაეროდრომის მუშებმა** მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს სულზე 2 გირვანქა პურის მიცემის შესახებ. ეს შუამდგომლობა გადაეცა შრომის სამინისტროს, რომელმაც ჰაეროდრომის მუშებს აცნობა, რომ მათი შუამდგომლობის დაკმაყოფილება რესპუბლიკის სურსათის მხრივ გაჭირვების გამო შეუძლებელია.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, 12 ნოემბ. საღამოს 6 საათზე წაიკითხავენ ლექციებს: საბურთალოში გ. ნაკაშიძე „ქართული მწერლობა“, ავლაბარში აბრამიშვილი „ესტეტიკა“.

◆ **დედობის და ბავშვების დამცველ საზოგადოების გამგეობა** გულწრფელ მადლობას უცხადებს „ჩემოს“ გამგეობას, რომელმაც შემოსწირა 2,000,000 მან, გორის ერობას, რომელმაც შემოსწირა 100 ფ. ხორბალი და ოზურგეთის ერობას, რომელმაც შემოსწირა 100 ფ. სიმინდი.

— დედობის და ბავშვების დამცველ საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ ის ხსნის „ძუძუ მწოვარ ბავშვის ჰიგიენურათ აღზრდის კურსებს“, რათა შექმნას სპეციალურათ მომზადებულ პირთა კადრი, ხსენებულ საზოგადოების დაწესებულებისათვის, როგორც არის ბაგა-კონსულტაცია. კურსებზე ჩაწერა შეიძლება საზოგადოების კანცელარიაში 10 ს.—12 ს. პეტრე დიდის ქ. № 8.

◆ **წარმოდგენა ჯარში.** დღეს, მესანგრე ათასეულის თეატრში (ავლაბარი) წარმოდგენილ იქნება ამ ათასეულის ჯარისკაცების მიერ ს[illegible] დილის „სიკვდილით [illegible]ტისმენტში: ლექსები, სცენები, სიმღერა, დასასრულ ცეკვა.

◆ **განცხადება.** ტფილისის ქალაქის გამგეობასთან არსებული სოციალური დახმარების განყოფილება ამით აცხადებს, რომ შრომის სამინისტროდან მიღებულია ა. წ. ოქტომბრის ხვედრი დახმარება. რადგანაც პენსიონერთა რიცხვი დიდია, განყოფილება სთხოვს მათ მობრძანდნენ ფულის მისაღებად ამ რიგზე: 12 ნოემბერს—ვისი გვარიც იწყება ა, ბ, და გ-ზე; 13-ს ე, ვ, ზ, თ, ი და კ-ზე; 15-ს მ, ნ, ო, პ, და ჟ-ზე და 16-ს დანარჩენ ასოებზე. ყველანი მობრძანდენ წიგნაკებით სოციალურ დახმარების განყოფილებაში დილის 10 საათიდან.

◆ **ქართული ენის, ისტორიის და ლიტერატურის კურსები.** სახ. განათლების სამინისტროს ნებართვით მე-4 გიმნაზიასთან (ბელგიის ქ., 4) იხსნება ქართული ენის, ლიტერატურის და ისტორიის პრაქტიკული კურსები ორივე სქესის მოზრდილთათვის, როგორც არა ქართველთ, ისე საზოგადოთ ქართულ ენის უცოდინართათვის. კურსებზე მეცადინეობა დაიწყება ნოემბრის 20-ს, საღამოობით. კურსებს განაგებს დ. მ. დუმბაძე.

კრებები.

დღეს, საღ. 6 ს. ბიუროს ბინაზე დანიშნულია საქ. მასწავლებელთა კავშირის საბჭოს საგანგებო კრება. სთხოვენ საბჭოს წევრებს და ყველა ფრაქციების კანდიდატებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.

— დღეს 12 ნოემბერს 5 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონის ს. დ. ქალთა ორგანიზაციის წევრთა კრება. ასარჩევია კოლექტივი და განსახილველია მიმდინარე კითხვები. ეს კრება მეორეთ არის მოწვეული და რამდენიც უნდა დაესწროს წევრი მაინც კანონიერათ ჩაითვლება.

— კვირას, 14, ნოემბერს ქ. ხაშურში დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა კრება. ამხანაგებს ვისაც კავშირი აქვს ორგანიზაციასთან სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ.

— კვირას, 14 ნოემბერს დილის 10 საათზე (ახალი დრო) დანიშნულია ერობათა კავშირის კომიტეტის მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება. დღის წესრიგი: 1) მოხსენება გამგეობისა კოოპერატივის შესახებ, 2) არჩევნები კოოპერატივის ახალი გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა, თუ დანიშნულ დროზე წევრთა სამყოფი რიცხვი არ გამოცხადდა იმ შემთხვევაში მეორედ კრება დაინიშნება იმავე დღეს 11 საათზე და კანონიერად ჩაითვლება მიუხედავათ წევრთა რაოდენობისა.

საბჭოთა რუსეთში

ბიუროკრატიზმი. მოსკოვის „იზვესტია“-ში უსახელო ავტორი „მექანიზმის მცირე ნაკლულევანები“-ს განყოფილებაში, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: ბიუროკრატიზმის შესახებ იმდენი ილაპარაკეს, რომ ამ ჟამად ამაზე ლაპარაკი თითქმის უხერხულიც კი არის. მიუხედავათ ამისა,—ბიუროკრატიზმზე კიდევ საჭიროა ვილაპარაკოთ და მომავალშიაც დიდხანს იქნება საჭირო ლაპარაკი. ეს სენი იმდენათ გავრცელდა, რომ პარტიული კონფერენციაც კი იძულებული შეიქნა სერიოზული ყურადღება მიექცია მისთვის. ბიუროკრატიზმი პარტიულ ორგანიზაციებშიაც კი შესულა. ეს ყველაზე უფრო სამწუხაროა, ვინაიდან ამით თავის ძალას ჰკარგავს თვით „მარილი“ ამა ქვეყნისა.

სხვა და სხვა ქვეყნის სახელმწიფ. წყობილება

ვენეცუელა.

ვენეცუელა ამერიკის **ფედერატიული დემოკრატიული რესპუბლიკაა** (კონსტიტუცია 1909 წ.). შესდგება შტატებისა და ტერიტორიებისაგან.

თავისუფლება სავსებით განხორციელებულია. პიროვნების უფლებები უზრუნველყოფილია.

საკანონმდებლო ხელისუფლებას ახორციელებს **კონგრესი**—პარლამენტი. იგი შესდგება სენატისა და დეპუტატთა პალატისაგან. არჩევნები დემოკრატიულია.

სენატი შესდგება 40 წევრისაგან. თითო შტატის საკანონმდებლო კრება ირჩევს ორ სენატორს ოთხი წლის ვადით. სახავს ფედერატიულ ურთიერთობას.

დეპუტატთა პალატა ირჩევა ხალხისაგან 4 წლით. ერთი დეპუტატი მოსდის 35,000 მცხოვრებს. ტერიტორიები (ორივე) ისე ირჩევიან, როგორც შტატები. პარლამენტის სესია ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივია.

აღმასრულებელი ხელის უფლება ეკუთვნის ვენეცუელის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვიცე-პრეზიდენტს და სამინისტროს შემდგარს შვიდი კაცისაგან. მინისტრებს პრეზიდენტი ნიშნავს. მაგრამ ისინი **პოლიტიკურად პასუხისმგებელნი არიან კონგრესის წინაშე.** ეს პარლამენტარული სისტემა იშვიათი მოვლენაა ამერიკის რესპუბლიკათა შორის.

ვინ ირჩევს პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტს?

მათ ირჩევს **განსაკუთრებული კრება, რომელშიაც შედიან მთელი კონგრესი** (ორივე პალატის შემადგენლობა) და **ყველა შტატის** თითო **წარმომადგენელი, არჩეული შტატის საკანონმდებლო კრების მიერ.** მათ ირჩევენ ოთხი წლით.

პრეზიდენტი და სამინისტრო დიდი უფლებებით არიან აღჭურვილნი.

სამოსამართლო ხელისუფლება ეკუთვნის უმაღლეს ფედერალურ სასამართლოს, რომელიც შესდგება კონგრესის მიერ ექვსი წლით არჩეულ შვიდი წევრისაგან.

შემადგენელ შტატებს (20-ია) აქვთ თვისი კონსტიტუციები და ავტონომიურათ უძღვებიან შინაურ საქმეებს, ყველგან **ერთ პალატიანი საკანონმდებლო დაწესებულებაა,** რომელსაც ეძახიან საკანონმდებლო კრებას. არჩევნები დემოკრატიულია. საკანონმდებლო კრება ირჩევს აღმასრულებელ ხელისუფლების წარმომადგენლებს—პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს.

თვითმართველობის უფლება განვითარებული არ არის.

ტერიტორიებს და ერთად ერთ ოლქს—ფედერალურს, განაგებს პრეზიდენტის მიერ დანიშნული ადმინისტრაცია.

ვენეცუელის პოლიტიკური წყობილება ბევრნაირათ არის შესანიშნავი ეს **პარლამენტარული დემოკრატიის წყობილებაა.** ხშირია რევოლიუცია-აჯანყებები.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ვენეცუელაში ისე როგორც თითქმის სამხრეთ და ცენტრალ ამერიკის ყველა რესპუბლიკაში **დაწერილი კონსტიტუცია სჯობს რეალურ ურთიერთობას, რეალურ წყობილებას.** ხალხს ისტორიულად და ორგანიულად არ აქვს სავსებით შესისხლხორცებული დემოკრატია და დემოკრატიული კონსტიტუცია.

სან-მარინო.

პაწაწკინტელა რესპუბლიკა სან-მარინო იმყოფება იტალიის კონსტიტუციურ მონარქიის პროტექტორატის ქვეშ. ეს ისტორიული რესპუბლიკაა. ნაპოლეონმა არ დაშალა იგი—იარსებოს როგორც რესპუბლიკის ნიმუშმა და სახსოვრად. დაწერილი კონსტიტუცია მას არა აქვს.

სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნის დიდ საბჭოს—Conseil souverain. მის ხელშია კანონმდებლობა. იგი ანიჭებს აღმასრულებელ ხელისუფლებას ორ პირს—**კაპიტან-რეგენტებს.** დიდ საბჭოში 60 წევრია არჩეული ხალხის მიერ: 20 პატრიციელია, 20 მოქალაქე და 20 სოფლელი.

კაპიტან რეგენტებს ირჩევს დიდი საბჭო ყოველ ექვს თვეში. ეს არჩევნები ეკლესიაში ხდება.

ერთი რეგენტი მართავს ქალაქს, მეორე სოფელს. ჯამაგირს არ ღებულობენ. დიდი საბჭოს სხდომები ფარულია.

ანდორა.

ძალიან პატარა რესპუბლიკაა. საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება. დაწერილი კონსტიტუცია არა აქვს. ძველის ძველი რესპუბლიკაა.

იგი შესდგება ექვსი თემისაგან. განაგებს უმაღლესი საბჭო, შემდგარი 24 წევრისაგან. აქედან 12 კონსული (თითო თემიდან ორი წევრი) და 12 დელეგატი, არჩეული პირდაპირ ხალხისაგან. (თითქოს ფედერაციას გავს) ამრჩეველია ანდორის ყველა დაოჯახებული მოქალაქე. დიდი საბჭო ირჩევს თავის პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს და პროკურორს—სინდიკს.

ადგილობრივი თვითმართველობა ემყარება ძველ ჩვეულებითი უფლებებს.

საფრანგეთმა ძალიან შეზღუდა ანდორა. იქ მან თავის **მუდმივი დელეგაცია** შექმნა და უმაღლესი სასამართლო დაარსა.

მონაკო.

მონაკო სულ პატარა სამთავროა, იმყოფება საფრანგეთის მფარველობის ქვეშ. მონაკოში არ არის **არავითარი წარმომადგენლობითი დაწესებულება.** მთავარის ხელშია სახელმწიფო ძალაუფლება. იგი მონარქია.

მთავარი მართავს სახელმწიფო საბჭოს საშუალებით. სახელმწიფო საბჭოს დიდი უფლებები აქვს კანონების შემუშავების საქმეში. საათათბირო ორგანოა.

მონაკოს კომუნალური საბჭო შესდგება 9 დანიშნული წევრისაგან. სამთავროში მეტად სადა ურთიერთობაა. გადასახადები თითქმის არ არის.

მონაკო ცხოვრობს უმთავრესად საბანკო და სათამაშო შემოსავლით (მონტე-კარლო აქ არის).

ამერიკის სხვა რესპუბლიკები.

გარდა იმ რესპუბლიკებისა, რომელთა კონსტიტუციებს ჩვენ მოკლეთ შევეხეთ, ცენტრალ და სამხრეთ ამერიკაში კიდევ ბევრი რესპუბლიკა დაგვრჩა განუხილავი. თვითეულის ცალ-ცალკე განხილვა შორს წაგვიყვანს. უნდა დავკმაყოფილდეთ საერთო თვალის გადავლებით.

ამერიკის დანარჩენ რესპუბლიკებში კონსტიტუციებს ეტყობათ პირდაპირი თუ არა პირდაპირი გავლენა ჩრ. ამერიკის შეერთებული შტატების საკონსტიტუციო თეორიისა და პრაქტიკისა.

ყველგან საკანონმდებლო ხელის უფლებას ახორციელებს საკანონმდებლო დაწესებულება, ორი პალატისაგან შემდგარი. უმეტეს შემთხვევაში ამ **ორპალატიანობას** სახელმწიფოს ფედერატიული აგებულებაში აქვს საფუძველი. რესპუბლიკა იყოფა ავტონომიურ შტატებად თუ პროვინციებად, რომელნიც ქმნიან ფედერატიულ კავშირსა და ფედერატიულ წყობილებას.

აღმასრულებელ ხელისუფლებას ანდობენ უმეტეს შემთხვევაში არჩეულ პრეზიდენტს და მთავრობას.

საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული საარჩევნო უფლება ბევრგან შეზღუდულია ამა თუ იმ ხასიათის ცენზით. ქალებს უფლება არსად არა აქვთ.

პიროვნების უფლებებს ყველგან აღიარებენ კონსტიტუციები. საერთოდ დაკანონებულია პოლიტიკური თავისუფლება და რესპუბლიკანიზმი. რესპუბლიკათა პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალიან ხშირად არის ჯგუფური შეხლა-შემოხლა, სამხედრო გადატრიალება და შეთქმულებანი.

დიდი გავლენა აქვთ მათ პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფანატიკურ კათოლიკურ სამღვდელოებას. იშვიათი გამონაკლისს თუ არ მივიღებთ მხედველობაში, საერთოდ კულტურულად და სოციალურად მოწინავეობას ვერ დაიჩემებენ, მიუხედავად დემოკრატიულ-რესპუბლიკანური დაწერილი კონსტიტუციისა. მეტროპოლიის (უმთავრესად ისპანია-პორტუგალიის) ისტორიული განვითარების ბევრი ცუდი მხარე მემკვიდრეობით გადასულია ამ დემოკრატიულ სახელმწიფოებზე, რომელნიც უმეტესად განთავისუფლებულ კოლონიებს წარმოადგენენ.

ყოველ შემთხვევაში ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკის რესპუბლიკები, როგორც მაგ. **პერუ, ჩილი, სალვადორი, გონდურასი, ეკვადორი, პორტორიკო, გვატემალა, ურუგვაი, პარაგვაი** და სხ. მრავალ საყურადღებო გაკვეთილს და მაგალითს გვიჩვენებენ კონსტიტუციური წყობილების და მისი ბუნების შესწავლისათვის.

ნ. ხაჭრელი.

ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ ისეთ დიდ ფაქტებზე, რომლებიც აღნიშნული იყო კონფერენციაზე და რომლებსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ; ამჯამად ჩვენ მხედველობაში გვაქვს წვრილმანი შემთხვევები ბიუროკრატიზმისა. მაგრამ ხომ ამ წვრილმანებისაგან შედგება მთელი ცხოვრება...

ამანათები იკარგება. წითელ არმიელების მიერ გადმოგზავნილი სასურსათო ამანათები ხშირად განიცდიან საკვირველ ფერისცვალებას. ნახევარი ფქვილისა იქცევა მიწათ, ხორბალი—ქვად. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ამანათები „ორთქლათ იქცევიან", ვინაიდან მას ვერ ღებენ მისი პატრონები. ასეთი „სასწაულები", ავტორის სიტყვით, ბევრი ხდება; იგი მოითხოვს, რომ პასუხი მოეთხოვოს ასეთ „სასწაულთმოქმედებს". („იზვესტია").

როგორ აგროვებენ საქონელს გლეხებიდან? სარატოვის გუბერნიის ატკარსკის მაზრაში მოვიდა შინაურ ოთხფეხთა გადამრჩევი რაზმი პროდკომის აგენტის მეთაურობით. რაზმმა თავისი მუშაობა ხელის შემწყობ პირობებში დაიწყო. ოთხფეხებს, განსაკუთრებით ცხვრებს, ართმევდენ იმ სიების მიხედვით, რომელიც არავინ უწყის, ვისი შედგენილია და არც არავის მიერ დამტკიცებული არაა; ჩამორთმეულ იქნა უკანასკნელი ცხვარიც კი. გლეხებმა სამართლიანად განაცხადეს ამის გამო თავისი პროტესტები, მაგრამ აგენტმა შემდეგი უპასუხა: „ხმა ჩაკმინდეთ!" „ჭკუას ძალას ნუ ატანთ! ყველას დააპატიმრებთ!" და სხვ. თავისი სიტყვების განსამტკიცებლათ აგენტი მუშტებს იხმარებდა. როგორც სჩანს ამ აგენტს დიდი პრაქტიკა უნდა ჰქონდეს ამ მხრივ მიღებული („იზვესტია").

ბრძანება მობილიზაციის შესახებ

თანახმად მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებისა გენერალური შტაბის უფროსი აცხადებს შემდეგს:

1) მობილიზაციის დროს გაუქმებულია ყოველგვარი შეღავათი და გაწვეულ უნდა იქმნან სამობილიზაციო წლებში დაბადებულნი ყველა სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცნი, მიუხედავად მათი სამოქალაქო თანამდებობისა.

2) სამობილიზაციო წლებში დაბადებულნი სამხედრო ერთეულებ-დაწესებულებებში და აგრეთვე სახალხო გვარდიაში ნებით დაქირავებულნი მოსამსახურენი გადაირიცხონ ნამდვილ სამსახურში თანახმად მოლაშქრე და სათადარიგო ჯარისკაცთა გასაწვევ დასტურლამის 15 მუხლისა თავიანთ თანამდებობის დატოვებით მხოლოდ 20 ნოემბრამდის და მაშინ კი მაინც დაუყოვნებლივ გაიგზავნონ სამხედრო ერთეულებში.

3) აგრეთვე 20 ნოემბრამდის გამოცხადების ვადა მიეცეს სამაზრო, სამოქალაქო და რკინის გზის მილიციონერებსა და ქალაქ ტფილისის თვითმართველობის გამგეობის ამ წევრებს, რომლებსაც აბარია სამხედრო განყოფილებები და ამ განყოფილებათა საქმის-მწარმოებლებს, რის შემდეგ ისინიც უნდა გაიგზავნონ სამხედრო ერთეულებში.

4) კატეგორიულად ებრძანება რესპუბლიკის ყველა სამხედრო, სამოქალაქო და საზოგადო დაწესებულებათა უფროსებს შესწყვიტონ ამა, თუ იმ გასაწვევზე გამოცხადების ვადის გაგრძელების შესახებ ყოველგვარ შუამდგომლობათა აღძვრა და დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ ისინი მიმღებ კომისიაში გამოსაცხადებლათ.

შრომის სამინისტროს ცირკულიარი

1

საქართველოს რესპუბლიკის პროფესიონალურ კავშირებს.

1912 წლის 23 ივნისის მუშათა უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის დებულების მე-36 მუხ. ძალით მწარმოებელი, რომელზედაც ვრცელდება ზემო მოყვანილი კანონის მოქმედება, ვალდებულია გაუგზავნოს შრომის სამინისტროსთან არსებულ მუშათა უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის განყოფილებას, მის წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევის შესახებ საჭირო ცნობები.

მეტი ნაწილი მწარმოებლების ან სრულიად არ აგზავნის ამ ცნობებს, ანდა აგზავნის დაგვიანებით, რის მეოხებითაც დაზღვევის განყოფილება ჰკარგავს საშვალებას გამოარკვიოს მუშაობის საერთო პირობები, რომელშიაც მოხდა უბედური შემთხვევა, რასაც პირველი ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს პენსიის დანიშვნის საკითხის გადაჭრის პროცესში. ამავე მიზეზით გვიანდება პენსიების თავის დროზე დანიშვნა, რაც შრომის სამინისტროს ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია. ამის გამო დიდათ ფერხდება დაშავებულთა თავის დროზე უზრუნველყოფა პენსიით.

ამ მოვლენების თავიდან ასაცილებლად და მუშათა დაზღვევის საქმის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად, შრომის სამინისტრო გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება საქარხნო კომიტეტისადმი, რათა მათ მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება, რომ მწარმოებლების მიერ თავის დროზე გადმოგზავნილ იქმნას დამზღვევ განყოფილებაში მათ წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევის შესახებ საჭირო ცნობები.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ა. ბახტაძე.**

საქმეთა მმართველი **ი. გოლდმანი.**

2.

საქართველოს რესპუბლიკის შრომის სამინისტროს კომისრებს და რწმუნებულებს.

თანახმად 1912 წლის 23 ივნისის მუშათა უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის დებულების მე-36 მუხლისა წარმოების პატრონი, რომელიც ექვემდებარება აღნიშნულ კანონის მოქმედებას, და აგრეთვე ის წარმოებანი, რომლებიც დაზღვეულნი არიან შრომის სამინისტროს მიერ ამავე კანონის მე-12-ე მუხლის მეორე შენიშვნის მიხედვით, ვალდებულია გაუგზავნოს სათანადო დამზღვევ ამხანაგობას, ამ შემთხვევაში შრომის სამინისტროსთან არსებულ მუშათა უბედურ შემთხვევათაგან დაზღვევის განყოფილებას მის წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევის შესახებ საჭირო ცნობები.

ზოგიერთი მწარმოებელი არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას კანონის მოთხოვნილებას და დიდი დაგვიანებით ან სულ არ უგზავნის დამზღვევ განყოფილებას უბედურ შემთხვევის შესახებ საჭირო ცნობებს, რა მიზეზითაც ერთ მხრივ ჰფერხდება დამზღვევ განყოფილების ნაყოფიერი მუშაობა, მეორე მხრივ გვიანდება პენსიების დანიშვნის საკითხის თავის დროზე გადაჭრა, რაც შრომის სამინისტროს დღევანდელ მძიმე პირობებში ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია.

ამ მოვლენის თავიდან ასაცილებლად გაძლევთ წინადადებას მიაქციოთ განსაკუთრებითი ყურადღება ზემოდ მოყვანილ კანონის მოთხოვნილებათა თავის დროზე შესრულებას მწარმოებლების მხრივ.

უკეთუ რომელიმე მწარმოებელთაგანი დაარღვევს კანონის მოთხოვნილებას და დანიშნულ დროზე არ წარმოადგენს შრომის სამინისტროში მის წარმოებაში მომხდარ უბედურ შემთხვევაზე საჭირო ცნობებს, გევალებათ შეადგინოთ სათანადო ოქმი და წარმოადგინოთ შრომის სამინისტროში დამნაშავეთ პასუხის გებაში მისაცემათ.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ა. ბახტაძე.**

საქმეთა მმართველი **ი. გოლდმანი.**

3.

შრომის სამინისტრომ შემდეგი ცირკულიარული მოწერილობა დაუგზავნა ყველა წარმოებებსა და დაწესებულებებს:

ყველა წარმოებები და დაწესებულებანი (კერძო, საზოგადო და სახელმწიფო), რომელთა მოსამსახურენი სარგებლობენ სურსათ-სანოვაგით სასურსათო ფონდიდან, ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ წარმოადგინონ შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდაში იმ მუშა-მოსამსახურეთა სიები, რომელნიც გაწვეულნი არიან სამხედრო სამსახურში. ამასთანავე ნაჩვენები უნდა იყოს სასურსათო წიგნაკის ნომერიც. მოთხოვნილ ცნობათა უკანონოთ წარმოდგენისა ან თუ ისინი წარმოდგენილნი არ იქნენ 15 ნოემბრამდე, წარმოებისა და დაწესებულების ადმინისტრაცია პასუხისგებაში იქნება მიცემული.

შრომის მინისტრის ამხანაგი **ა. ბახტაძე.**

საქმეთა მმართველი **გოლდმანი.**

სახალხო-სამეურნეო ცხოვრების უსაჭიროესი დარგები

საქართველოს რესპუბლიკის მდგომარეობა სასტიკად მოითხოვს სახელმწიფო მეურნეობის უმთავრეს დარგების აუცილებელ მოწყობას. ეჭვს გარეშეა, რომ დღეს ჩვენ არანორმალურ პირობებში გვიხდება ამა თუ იმ სახალხო-სამეურნეო დარგის მოწყობა, მაგრამ სახელმწიფოს შენობაში არის იმისთანა დარგები, რომელთა მოუწყობლობაც ყოვლად შეუწყნარებელია და ურომლისოდაც არავითარ კულტურულ სახელმწიფოს არ შეუძლია ცხოვრება.

ამისთანა უმთავრესს დარგს სახალხო-სამეურნეო ცხოვრების შენობაში პროფ. ვაგნერის, ადლერის, ტუგან ბარანოვსკის და სხ. აზრით შეადგენენ ტრანსპორტი და დაზღვევა. ამ დიდათ რთულ და სახელმწიფოსთვის უსაჭიროეს დარგებზე ჯერ-ჯერობით ჩვენს პრესაში კრინტიც არ დაძრულა.

ლიტერატურაში სხვა და სხვა ეკონომისტები ტრანსპორტის კითხვას ეხებიან საერთაშორისო თვალსაზრისით და მსოფლიო საერთაშორისო დამოკიდებულებაში დიდს მნიშვნელობას აძლევენ ტრანსპორტის საქმეს.

რას ნიშნავს საზოგადოთ ტრანსპორტი? დღევანდელ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებამ და მათ პროცესში საზოგადოებრივ დიფერენციაციამ, განაწილებამ სხვა და სხვა სპეციალურ ჯგუფებზე, შექმნა მეორეს მხრივ იმისთანა მოთხოვნილება, რომლის საშუალებით შესაძლებელია გაერთიანება სხვა და სხვა მოქმედებისა ვაჭრობა-მრეწველობისა და ტეხნიკის დარგებში. თვალსაჩინო ადგილი ამ მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელ ორგანიზაციაში უჭირავს ეგრედ წოდებულს სატრანსპორტო საშუალებებს.

ტრანსპორტის მნიშვნელობა საერთაშორისო დამოკიდებულებაში, მისი მნიშვნელობა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებაში, სახელმწიფოს სახალხო-სამეურნეო ცხოვრებაში, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ იქ, სადაც ეს დარგი არ არის განვითარებული, იქ არ არის განვითარებული საერთაშორისო დამოკიდებულება. არ არის განვითარებული საზოგადოთ ტეხნიკა.

პირველ ყოვლისა ტრანსპორტმა უნდა შეაერთოს ერთ განუწყვეტელ ქსელათ სხვადასხვა ქვეყნები და სახელმწიფონი. ეს არის ტეხნიკური საშუალება. შემდეგ, უნდა შეიქმნას იმისთანა ორგანიზაცია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისა, რომელიც ხელმისაწვდენია ხალხისთვის. ბოლოს სატრანსპორტო საშუალებამ უნდა შექმნას და გამოიწვიოს სხვადასხვა მოთხოვნილებანი, რითაც ის ღებულობს საერთაშორისო ხასიათს. აი, ეს სამი მნიშვნელობა ახასიათებს საზოგადოთ სატრანსპორტო საშუალებას. როგორც საერთაშორისო ორგანიზაციას.

დაზღვევის საქმე-კი წარმოადგენს უფრო რთულს და მძიმე კითხვას.

რაში მდგომარეობს საზოგადო დაზღვევა? როგორც ვიცით სახალხო-სამეურნეო ცხოვრებაში ბევრი იმისთანა შემთხვევითი ზარალი ხდება, რომლის წინდაწინ გაგება და გათვალისწინება ყოვლად შეუძლებელია. ამ შემთხვევითი მოვლენების გამოსაკვლევად და მათგან გამოწვეული ზარალის აღსადგენათ შემუშავებულია მთელი სამეცნიერო დარგი, რომლის საშუალებით შესაძლებელი შეიქნა შემთხვევითი და არა შემთხვევითაც ზარალის განაწილება სხვადასხვა საზოგადო ორგანიზაციებისათვის როგორც ერთ სახელმწიფოს, ისე სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის. ამისდამიხედვით საზოგადოთ დაზღვევის საქმე, როგორც საურთიერთო დაზღვევა, აგრეთვე სააქციონერო დამყარებულია მხოლოდ და მხოლოდ საურთიერთო პრინციპზე. მაშასადამე, დაზღვევის საქმე წარმოადგენს მსოფლიო ასოციაციას, დამყარებულ კოოპერატიულ პრინციპზე.

თავისი ორგანიზაციის მხრივ დაზღვევის საქმე განიყოფება ორ ტიპად—საურთიერთო და სააქციონერო დაზღვევა. ორივე ეს ტიპი თავის მხრივ განიყოფება,—კერძო და სახელმწიფო—საზოგადოებრივ დაზღვევათ. ორივე ეს ტიპი დამყარებულია საურთიერთო ნდობის პრინციპზე.

თავისი ობიექტით დაზღვევა განიყოფება აგრეთვე ორ ტიპად—დაზღვევა უძრავ-მოძრავი ქონებისა და დაზღვევა სიცოცხლისა.

უძრავ-მოძრავი ქონების დაზღვევა ხდება ცეცხლისაგან, მოსავლის სეტყვისაგან, საქონლის ჭირისაგან (ეპიზოოტია) და სხვ., ხდება აგრეთვე ტრანსპორტის დაზღვევა, და სხვ.

დაზღვევის საქმე საზოგადოთ ითვლება მეცნიერებაში იმდენად რთულ და მძიმე კითხვათ, რომ დღემდისაც არ არის ამ კითხვაზე ვრცელი და შემუშავებული ლიტერატურა. არ არის მაგალითად ვრცლად შემუშავებული დაზღვევის სტატისტიკის მეთოდები, დაწვის თეორია (теорія горимости) და სხვადასხვა. რუსეთში ამ 8—10 წლის წინად მოხდა საერთაშორისო კრება, რომელსაც დაესწრნენ ევროპის გამოჩენილი ეკონომისტები და ფინანსისტები და ამ კრებაზე გადასწყვიტეს დაეარსებიათ საერთო ძალით პეტერბურგში დაზღვევის უმაღლესი ინსტიტუტი. სპეციალისტების მოსამზადებლად შესაძლებელია თუ არა ისე ადვილად დაზღვევის საქმის მოწყობა საქართველოში, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონიათ. დაზღვევის საქმის მოწყობა სახელმწიფოში ერთობ რთული და მძიმე საგანია. ვერც ერთმა ევროპის და ამერიკის კულტურულმა სახელმწიფოებმა დღემდის ვერ მოახერხეს, რომ დაზღვევის საქმე თვით სახელმწიფომ ითავოს და მიიღოს თავის თავზე. დღემდის ეს დიდი ეკონომიური კითხვა სახალხო სამეურნეო ცხოვრებაში არის კერძო ორგანიზაციების ხელში, რომელნიც გარდაიქცნენ მსოფლიო ასოციაციებათ და კავშირებათ.

ყოველ ევროპიელ ეკონომისტს თავის განკერძოვებული შეხედულება აქვს დაზღვევის კითხვაზე და ეკონომისტების შორის დღემდისაც არ არის ამ კითხვაზე ერთი შემუშავებული აზრი, რომელზედაც შეეძლოს რომელიმე ევროპის და ამერიკის სახელმწიფოს დაამყაროს დაზღვევის ორგანიზაცია და მისი სრულიად ხელში ჩაგდება. ამისდამიხედვით ჩვენშიდაც შეუძლებელია ჯერ ჯერობით, რომ სახელმწიფომ იკისროს თავის თავზე ამისთანა რთული საქმის ხელში აღება. ამის მიზეზები ათასია. არ არის ჩვენში მოწყობილი არა თუ დაზღვევის სტატისტიკა, საზოგადოთ სტატისტიკა, რომელიც უნდა შეიცავდეს, თუ რას წარმოადგენს რესპუბლიკის ყოველივე მოქალაქის მეურნეობა, რაოდენობა ქარხნების და ფაბრიკების, რაოდენობა შენობების—ხის, ქვიტკირის და სხვა ტიპების, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა ტიპები სხვადასხვა რაიონებში, ქალაქების კლასიფიკაცია (ერთობ რთული საქმეა) და მათი ტიპები, ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა რესპუბლიკის სხვა და სხვა რაიონებში, სახალხო მეურნეობის მდგომარეობა სხვადასხვა რაიონებში და ათასი სხვა ცნობები. როგორც ვხედავთ ეს საქმე ადვილი არ ყოფილა.

ჩვენის აზრით დღევანდელ პირობებში შესაძლებელია მხოლოდ ერთი გზა. უნდა დაარსდეს ჩვენს რესპუბლიკაში ერთი ცენტრი, რომელშიდაც უნდა მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საზოგადო ორგანიზაციებმა, კოოპერატივებმა, ერობათა კავშირმა, ბანკებმა და აგრეთვე სახელმწიფოს იმისთანა დაწესებულებებმა, რომელნიც ეწევიან სავაჭრო—სამრეწველო საქმეს. ეს ცენტრალური ორგანიზაცია უნდა წარმოადგენდეს მთელი რესპუბლიკის დამზღვევ-გადამზღვევ საქმეს და ამ ცენტრთან უნდა იყვნენ შეკავშირებულნი რესპუბლიკაში მომქმედნი დამზღვევნი საზოგადოებები. ასე ამნაირად და თანდათანობით ბოლოს რამოდენიმე წლის შემდეგ, თუ ცენტრის საქმე იქნა სპეციალისტებისა და მცოდნე პირთა ხელში და თუ დაზღვევის საქმეს შევხედავთ მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს სახალხო სამეურნეო ცხოვრების თვალსაზრისით, ადვილად შესაძლებელია მთელი დაზღვევის საქმემ რესპუბლიკაში მიიღოს სახელმწიფოებრივი ხასიათი.

რომ რესპუბლიკამ აიცილოს დიდი ხარჯები, შესაძლებელია ამ ცენტრთან დაარსდეს რესპუბლიკის ცენტრალური დაზღვევის კომიტეტი, რომელმაც უნდა უხელმძღვანელოს რესპუბლიკის დაზღვევის საქმეს. ეს კომიტეტი შემდგარი თეორეტიულად და პრაქტიკულად მომზადებული პირებისაგან შეაგროვებს და შეიმუშავებს მთელ იმ მასალას, რასაც მოითხოვს ყველა ტიპის დაზღვევის საქმე—სტატისტიკა, ტარიფიკაცია, კლასიფიკაცია და სხვადასხვა.

ქ. მ.

უცხოეთი

გერმანია.

ბოლშევიკები და ომი საფრანგეთთან. ლუდებურის წერილში, რომელიც მოთავსებული იყო „ფრაიჰაიტის" 2 ოქტომბრის ნომერში, მტკიცდება, რომ მოსკოვის ცენტრის მიზანია ჩაითრიოს გერმანია საფრანგეთთან ომში. ამის გამო „ფრაიჰაიტი" სარედაქციო წერილში სწერს: ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს მოსკოვის საშიში მახინაციები. მოსკოვის მომხრეები სცდილობენ ამის უარყოფას. მათ ეშინიათ მუშებისათვის სიმართლის თქმისა. რომ ამ პოლიტიკას მოსკოვი უკვე ორ წელიწადზე მეტია ატარებს,—ამას ამტკიცებს ფელიქს შტეფინგერის წერილი, დაბეჭდილი გაზეთ „თავისუფალ სამყაროს" უკანასკნელ ნომერში.

შტეფინგერი შემდეგ ფაქტებს აღნიშნავს: 1) ჯერ კიდევ დროებით შეთანხმებამდის გერმანელი კომუნისტები, რუს კომუნისტების გავლენის ქვეშ მყოფნი, ეწეოდნენ აგიტაციას რეინზე ფრანგებთან ომის განგრძობის სასარგებლოთ. ამ აზრს გამოსთქვამდა ერნესტ მეიერი არალეგალურ ორგანიზაციის სხდომაზე, 1918 წ. ოქტომბერში. მაშინ დეიმიგი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა ამ „ფრაზეოლოგიას". ამას გადმოგვცემს ბარტი თავის წიგნში გერმანიის რევოლიუციის შესახებ. ბარტის ნაამბობი არავის მიერ ყოფილა უარყოფილი.

2) გერმანიის რევოლიუციის აფეთქების შემდეგ ეს აზრი—გამოთქმული იყო ოფიციალურათ კარლ რადეკის ცნობილ რადიოში გერმანიის სახალხო რწმუნებულების სახელზე.

3) გერმანიის კომუნისტურ პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე რადეკმა გამოიწვია ცხარე ოვაციები, რომელთა „არა საკმაო სერიოზულობაზე" ასე მწარეთ სჩიოდა შემდეგ როზა ლიუქსემბურგი იმით, რომ წამოაყენა ლოზუნგი ახალი, ვითომდა რევოლიუციონური „ვახტ ამ რეინისა" (ძველი ნაციონალურ-შოვინისტური ჰიმნია).

4) როდესაც 6 თვის შემდეგ გერმანიის პროლეტარიატი მზათ იყო აეძულებინა მთავრობა ვერსალის ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერათ, კომუნისტურმა პარტიამ, თანახმად მოსკოვის ბრძანებისა, წამოაყენა ლოზუნგი, რომელიც ზავის წინააღმდეგ იყო მიმართული. თუ კი ჩვენი პარტია (ესე იგი დამოუკიდებელთა პარტია) უკვე მაშინ მე-3 ინტერნაციონალის წევრი იქნებოდა და შებოჭილი იქნებოდა მოსკოვის მიერ წამოყენებულ პირობებით,—მაშინ ის უნდა წასულიყო მუშათა მასების მიერ ნათლათ გამოთქმულ მოთხოვნილების წინააღმდეგ და უნდა მოეთხოვა ომის გაგრძელება.

5) ამის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ მრავალჯერ გვისაყვედურა. ჩვენ პრესაში და კრებებზედაც, რომ ჩვენ თავისი ზავის ლოზუნგებით უღალატეთ პროლეტარიატს. ეს ზედმეტი საბუთია იმის, რასაც ჩვენ არ გვაპატიებენ, რომ ჩვენ ხელი შევუშალეთ ომს საფრანგეთთან.

6) მოსკოვის „ისპოლკომი" მთელი თავის ძალ-ღონით სცდილობს სახელი გაუტეხოს დამოუკიდებელთა ს.-დ. პარტიას მის ზავისათვის ბრძოლის გამო. მოგაგონებთ მოსკოვის ცილისწამებებს, თითქოს ჩვენ დაბლა გვეჭირა თავი საფრანგეთის გენერლების წინაშე. ამ გზით მოსკოვი სცდილობდა მოესპო ჩვენი ბრძოლა საფრანგეთის პანგერმანისტულ წასისინებების წინააღმდეგ.

შტეფინგერი სრულიად საფუძვლიანათ მიუთითებს იმაზე, რომ გერმანიის კომუნისტების ახალი აგიტაცია—გერმანიის ნეიტრალიტეტის დარღვევის შემთხვევაში საფრანგეთისათვის ომის გამოცხადების სასარგებლოთ მიმართულია არსებითად, რომ გამოიწვიოს დაუყონებლივი ომი საფრანგეთთან. ეს ხომ არ ნიშნავს გერმანიის პროლეტარიატის ჩათრევას ისეთ ომში, რომლის პოლიტიკური ხელმძღვანელი იქნება ფერენბახის მთავრობა, ხოლო სამხედრო—სექტი, დარლო და ლიუდენდორფი გერმანიის ბრუსილოვის როლში?

თუ კი დაუშვებთ იმასაც, რომ ამგვარი ომი შეუძლებელია, ან და მალე დამთავრდება გერმანიის დანაწილებით და მოსპობითაც,—მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ომის პროპაგანდაც კი უზომოთ აძლიერებს ანტანტის მილიტარიზმს. ამის გარდა ასეთი პოლიტიკა აშორებს ინგლისის და საფრანგეთის მუშებს გერმანიის პროლეტარიატს და ასუსტებს საერთაშორისო სოლიდარობას, ეს პროპაგანდა ყოველ მხრივ აძლიერებს კონტრ-რევოლიუციონურ გავლენას.

სამხრეთ-სლავია.

სამხრეთ-სლავიის პოლიტიკური მდგომარეობა.

სამხრეთ სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დ-რმა ტრუმბიჩმა, რომელიც დაბრუნდა ბელგრადში ორი წლის პარიზში ყოფნის შემდეგ, წარმოსთქვა სკუპშჩინაში დიდი სიტყვა, რომელიც ახალგაზრდა სახელმწიფოს საკითხებს შეეხებოდა.

მინისტრი შეეხო, სხვათა შორის, ადრიატიკის საკითხს, რომელსაც მიეცა საერთო ევროპიული მნიშვნელობა.

აქ იხლართება, სთქვა დ-რმა ტრუმბიჩმა, ცენტრალურ ევროპის ყველა ხალხთა სასიცოცხლო საკითხები. ჩვენი მდგომარეობა საზავო კონფერენციაზე გაუარესდა 1915 წლის აპრილში დადებულ ლონდონის ხელშეკრულებით, რადგანაც ჩვენ მოგვიხდა შეტაკება ძლიერ სახელმწიფოსთან და მის მძლავრ მოკავშირესთან, რომლის ხმასაც, რასაკვირველია, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩვენსას.

ჩვენი დელეგაცია დადგა საერთაშორისო უფლების თვალსაზრისზე. დელეგაცია მთელი ამ ხნის განმავლობაში იცავდა თავის მოთხოვნილებებში ზომიერებას. ჩვენ ღრმათ ვიყავით დარწმუნებულნი, რომ ზომიერება ჩვენი საუკეთესო მოკავშირე არის, ჩვენ მიერ მიცემული წინადადება იტალიისადმი, რომ მოგვეწყო პლებისციტი, არ იქნა მიღებული. მაშინ იტალიის მიზნები სხვა მხრივ იყვნენ მიმართულნი. შემდეგ ჩვენ დავიწყეთ უშუალო მოლაპარაკება თვით იტალიასთან, მაგრამ უკანასკნელი მოლაპარაკებას მეტად ზანტათ აწარმოებდა, და ბოლოს, ოფიციალური დამოკიდებულება ჩვენსა და იტალიას შორის შესწყდა.

მე მსურს ადრიატიკის საკითხი ისეთი შეთანხმებით დამთავრდეს, რომელიც უზრუნველყოფს კავშირს ორივე ქვეყნებს შორის. მაგრამ ამისათვის საჭიროა შეთანხმება, რომელიც ჩვენს შორის განკურნავს ყველა ჭრილობებს.

ჩვენს სახლში, ესე იგი იმ საზღვრებში, რომლებიც ჩვენ განკარგულებაშია, ჩვენს გარდა, არავის არ ესაქმება.

ჩვენთვის აუცილებელია, რომ ის თავისუფლება, რომელიც ჩვენ ზღვაზე გვეძლევა, უსაზღვრო იყო და რომ ჩვენი საკომერციო წყლის გზები არ გადიოდეს იტალიის წყლებზე. ჩვენ არ მიგვაჩნია დასაშვებათ არაფრით არ დასაბუთებული ზედამხედველობის უფლებები: იმათ მხოლოთ შეუძლიანთ მომავალში გააშუქონ ჩვენთან კარგი განწყობილება.

ფიუმეს შესახებ სამხრეთ-სლავიის მთავრობამ განაცხადა კომპეტენტურ ადგილას, რომ ფიუმეს ეგრეთ წოდებული დამოუკიდებლობის გამოცხადება არ არის ნამდვილი და რომ მას არა აქვს არავითარი იურიდიული ღირებულება.

ავტომობილი.

ავტომობილის წარმოებამ ამ ბოლო დროს თვალსაჩინო შედეგს მიაღწია. სტატისტიკური ცნობა გვეუბნება, რომ ამჟამად მსოფლიოზედ 8.750.000 ავტომობილია, რომლის უდიდესი ნაწილი ამერიკას ეკუთვნის.

ამერიკისა და ევროპის ქვემორე ხსენებულ სახელმწიფოებში **თითო ავტომობილი** მოდის:

შეერ.-შტ.	ყოველ	14	მცხოვრებზე
კანადაში	„	21	„
ახალ-ზელანდ.	„	48	„
არგენტინაში	„	113	„
ინგლისში	„	180	„
ავსტრალია (ინგლისის მფლობ.)	„	183	„
საფრანგეთში	„	198	„

ზოგიერთ ამერიკის ქალაქში ავტომობილთა რიცხვი პირდაპირ განსაცვიფრებელია. მაგალითად:

ნიუ-იორკაში	566.511 ავტ.
კალიფორნიაში	477.460 „
იოვაში	385.079 „ და სხ.

კალიფორნიაში და იოვაში **ყოველ 6 მცხოვრებზე** მოდის თითო ავტომობილი. (იხ. „La lilertè" № 21.858).

აქედან მკითხველს იოლად შეუძლია წარმოიდგინოს, თუ რანაირის ინტენსივობით ჰქუხს კულტურული ქვეყანათა ცხოვრება.

ქალაქთა კავშირში

ნ. ელიავას თავმჯდომარეობით შესდგა ქალაქთა კავშირის მთავარ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც განაგრძეს მადისონის მოხსენების განხილვა და იმსჯელეს მილიციის დებულების შესახებ. ელიავამ აღნიშნა, რომ მილიციის ახალ დებულებაში შეტანილია ორი ცვლილება: პატარა ქალაქების მილიციის უფროსი უნდა ემორჩილებოდეს სამაზრო მილიციის უფროსს და შინაგან საქმეთა მინისტრს შეუზღუდველი უფლება უნდა ჰქონდეს მილიციაში მოსამსახურეთა დათხოვნისა. ელიავას აზრით ქალაქების სრული პატრონი თვით ქალაქები უნდა იყვნენ და ამიტომ მიუღებელია ქალაქის მილიციის უფროსის მაზრის მილიციის უფროსისადმი დამორჩილება. თათბირმა არ მიიღო არც მეორე მუხლი და დაადგინა შესცვალოს იგი 1919 წ. იანვრის 26 კანონის თანახმად.

შემდეგ ნ. ელიავამ გააკეთა მოხსენება ერთდროულ გადასახადის შესახებ, რომელიც ორმა ქალაქმა—ხონმა და ოზურგეთმა, ერთ და იმავე დროს აღძრა. აღმასრულებელმა კომიტეტმა ეს საკითხი ერობათა და ქალაქთა საერთო საკითხად აღიარა, მაგრამ ეს საკითხი არ გაურჩევია არც საერობო ცენტრს და არც აღმასრულებელ ბიუროს, ვინაიდან ცნობილი იყო მის შესახებ, რომ პროექტს ერთდროულ სახელმწიფო გადასახადის შესახებ თვით მთავრობა ამუშავებდა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დაადგინეს: საჭიროდ იქნეს ცნობილი, რომ ერთდროული სახელმწიფო გადასახადში ადგილობრივ თვითმართველობებმაც მიიღონ მონაწილეობა, თუ კი ერთდროული გადასახადი არ იქნება დაწესებული, მაშინ უნდა დაწესდეს განსაკუთრებული მუნიციპალური გადასახადი. აღმასრულებელ ბიუროს ერობათა კავშირთან ერთად ევალება ამ გეგმის სისრულეში მოსაყვანად გადადგას სათანადო ნაბიჯი. დასასრულ მ. რუსიამ გააკეთა მოხსენება ტფილის-კოჯორის ელექტრონის რკინის გზის გაკეთების და აგრეთვე მდინარე ხრამზე ჰიდრავლიურ სადგურის აგების შესახებ. ყრილობის დავალების ასასრულებლად მთავარი კომიტეტის პრეზიდიუმმა მოიწვია შეერთებული სხდომა ტფილისის და კოჯორის ქალაქთა საბჭოებისა. მიუხედავად იმისა, რომ ეს თათბირი შესდგა, საკითხი ელექტრონის რკინის გზის შესახებ არ გადაწყვეტილა. ამ ჟამად აღმასრულებელ ბიუროს მონდობილობით ინჟ. ზავალიშინი ხრამზე ჰიდრავლიურ სადგურის ასაგებად სათანადო გამოკვლევას ახდენს. აღმასრულებელმა ბიურომ ამ საქმისათვის 1,300,000 მან. გადასდვა. ნ. ელიავამ ეს მოხსენება შეავსო განმარტებით და აღნიშნა, რომ აღმასრულებელმა ბიურომ სანამ ამ თანხას გადასდებდა, აცნობა ამის შესახებ მთავრობის თავმჯდომარეს, რომელმაც ქალაქთა კავშირის ისეთი მოქმედება სასურველად იცნო. განზრახულია არა ერთი სადგურის, არამედ მთელი რიგი სადგურების აგება. პირველი 10,000 ძალის მქონე სადგური აგებული იქნება ტფილისიდან 20 ვერსზე. მოხსენების მოსმენის შემდეგ კრებამ იგი ცნობათ მიიღო და გაწეული ხარჯები დაამტკიცა. (სდს).

სენაკის სამაზრო ხმოსანთა საერობო ყრილობა

ა. წ. 31 ოქტომბერს, ქ. სენაკში გაიხსნა სენაკის სამაზრო ერობის ხმოსანთა მეოთხე ყრილობა. დაესწრო 21 ხმოსანი. დღიური წეს-რიგში დასმული იყო: 1) განხილვა და დამტკიცება 1919 წ. ხარჯთ-აღრიცხვის, 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) კიწია-სალხინოს უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა, 4) გამგეობის არჩევნები, 5) მიმდინარე კითხვები. ყრილობას ხსნის და თავმჯდომარეობს ამხ. **გ. მაღნარაძე**, რომელიც ამბობს: ვინაიდან გამგეობის უმრავლესობა არ არის, მე მიხდება საერთოდ მოხსენების გაკეთება ინფორმაციის სახით. ის კითხულობს სათანადოთ შედგენილს ანგარიშებს. აღნიშნავს შემოსავალ-გასავალს და თითეულ დარგში რამდენი დახარჯულა. წარმოდგენილ ანგარიშების თანახმად, ერობას მიუღია დეფიციტი 1,574,000 მ.ნ., რომელიც მომხსენებელს არ მიაჩნია ნამდვილ დეფიციტათ, იმ მოსაზრებით, რომ ის უძრავი, თუ მოძრავი ქონება, რაც შეიძინა გამგეობამ 1919 წ. მეტათ სჭარბობს ზემოთ ნაჩვენებ ციფრს.

შეკითხვების შემდეგ, მომხსენებელი კითხულობს სარევიზიო კომისიის მიერ შედგენილს ოქმს, რომელშიაც ნაჩვენები იყო სასურსათო და აგრონომიულ დარგში მუშაობის მხრივ უსისტემობა, რასაც შედეგათ მოყოლია საქონლების დაკარგვა და ზოგიერთი საქონლის გაფუჭება საწყობში. დასასრულს თავ-რე იძლევა განმარტებას იმის შესახებ, რომ სარევიზიო ოქმში აღნიშნულია, როგორც 1919 წ. ანგარიში—აგრეთვე 1920 წ., ამისთვის საჭიროთ სცნობს ხმოსნები შეეხონ შარშანდელი წლის ანგარიშში აღნიშნულს ნაკლს, ვინაიდან გამგეობის მიერ შედგენილია მხოლოდ 1919 წ. ანგარიში. სარევიზიო კომისიის წევრი ექიმი ჩხეტია ამბობს, სარევიზიო კომისია არ შეხებია 1920 წ. ანგარიშებს, რადგან ასეთი გამგეობის მიერ შედგენილი არ იყო 1919 წ. ანგარიშს კი სარევიზიო კომისია ამტკიცებს.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ამხ. **გ. მაღნარაძე**, რომელიც მიმართავს ყრილობას იმის შესახებ, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენება 1919 წ. ანგარიშის შესახებ, კრებამ იქონიოს მსჯელობა და მოსმენილ იქნას გამგეობისაგან საამისო ახსნა განმარტება. ამხ. **ბ. თევზაია** მოითხოვს, რადგან 1919 წ. ანგარიშები მესამე ყრილობამ განიხილა და ქონდა არსებითად მსჯელობა, ყრილობა გადავიდეს პირდაპირ 1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაზე თევზაიას წინადადება მიღებულ იქნა და 1919 წ. ანგარიში იმ სახით, როგორც წარმოდგენილი იყო გამგეობის მიერ, დამტკიცებულ იქნა.

თავმჯდომარე კითხულობს 1920 წ. ანგარიშებს. ის აღნიშნავს ნავარაუდევის შემოსავლიდან შემოსავალს, რომელიც უდრის სამი მილიონს—აგრეთვე აღნიშნავს გასავლის რაოდენობას და ამბობს: მოსამსახურეების ჯამაგირების დარიგების მხრივ გამგეობა იმყოფებოდა ცუდ პირობებში. სხვადასხვა წყაროებიდან შემოსული ფულის ხარჯვა მას უხდებოდა მშიერთა დაკმაყოფილებაში, რომელიც ხდებოდა განსაკუთრებით ზაფხულის თვეებში. უჭირხულ მდგომარეობიდან გამგეობის გამოსვლა შეუძლებელია, თუ არ იქნა დაცული შეფარდება—შემოსავალ გასავლის შორის და მოითხოვს ყრილობის ყურადღება მიქცეულ იქნას აქეთკენ. განსაკუთრებითი ყურადღება და ხარჯის გაწევა გამგეობას მოუხდა სასკოლო დარგში. მომხსენებელი აღნიშნავს პირველ დაწყებითი მაღალ სასწავლებლის სოკოსავით გამრავლებას, რაც მიაჩნია არა სასურველ მოვლენათ—იმიტომ, რომ პირველ დაწყებითი დაბალ სასწავლებლიდან მოწაფეები შედიან ასეთებში და აქ ათავებენ სამოსწავლო ხანას. უმჯობესათ მიაჩნია პირველ დაწყებითი დაბალ სასწავლებლიდან ბავშვები ესწრაფოდენ საშუალო სასწავლებელს. სხვათა შორის გამგეობამ მოკიდა ხელი წარმოებას, თუმცაღა ვერ მიაღწია მიზანს, რომელიც აიხსნება სხვადასხვა რთულ პირობებში მუშაობით. სავაჭრო დარგის შესახებ ის ამბობს: იმ პირობებში დატოვება, რომელშიაც ეხლა გამგეობა იმყოფება ყოვლად შეუძლებელია. სავაჭრო დაწესებულება განშორებულ უნდა იქნას გამგეობის პირდაპირ ხელმძღვანელობიდან.

შეკითხვის შემდეგ, მოხსენებას აკეთებს აგრონომიულ განყოფილების გამგე **ვ. ხოფერია.** აქ ითქვა, რომ აგრონომიული დარგი ვითომდა იძლეოდა ზარალს. უნდა განვაცხადო, რომ ეს არ არის მართალი, ეს სჩანს შემდეგიდან. ბოსტანი, რომელიც გაკეთდა და შემოკავებულ იქნა ღობით, გაიყიდა თვით ღირებულ ფასებში მოსამსახურეებთა შორის. დამუშავებულ იქნა რამდენიმე დესეტინა მიწა, რომელიც, მინიმუმი რომ ავიღოთ, იძლევა 1,200 ფუთ სიმინდს. სულ დახარჯულია 300,000 მან. დღევანდელ ფასებზე, რომ ავიღოთ ფუთი სიმინდი, ერობა უსათუოდ ნახავს

მოგებას. რაც შეეხება სარევიზიო კომისიის მიერ შენიშვნის პერსონალის ყოლის შესახებ, ვაცხადებ, რომ პერსონალი ერობას ნაკლები ჰყავდა, რითაც აგრონომიულ დარგში მუშაობა ფერხდება.

საექიმო განყოფილების გამგე პ. ქავთარაძე. მე უნდა დავიწყო სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან. მათგან არის აღნიშნული ნაკლი ნოქალაქევში სახლის გაშენების შესახებ. მესამე ყრილობაზე მიღებულ იყო პროექტი, ნოქალაქევში აბანოსთან მდებარე სააგარაკო სახლების რეკვიზიციის გამო, რომელიც მთავრობის მიერ ვერ დამტკიცდა, რითაც გამგეობა იძულებულ იყო აეშენებია საკუთარი, სახლი რომ ამით ხელი შეეწყო ავათ მყოფ მოაგარაკეებისათვის და გაეგო, რამდენათ სასარგებლო იყო იქაური წყალი. სახლი შეძენილ იქნა, მხოლოდ ნაკლი აღმოჩნდა მასში, რომ საძირკველი იქნა დაბალი—მიწასთან და არ იქნა კარიდორული სისტემა დაცული, რომელ უკანასკნელი აიხსნება მით, რომ აივანი რო გადაეკეთებია ერობას ძლიერ ძვირათ უჯდებოდა. წყალი კი ჩვენი და იქაური ექიმების გამოკვლევით აღმოჩნდა კარგი და გამკურნავი სხვადასხვა სენისა; უარყოფითი მხარე აქვს წვიმიანი ამინდების დროს და მეტათ სასარგებლოა, როცა კარგი ამინდი დგება. წინეთ თუ ავათმყოფი მოდიოდა ორი, ანუ სამი დღით და უნაყოფოთ ბრუნდებოდა, ეხლა მოდიან ერთი კვირით, ანუ ოცი დღით და ჩვენი ექიმების რჩევა დარიგებით ბრუნდებიან ჯან საღად. რაც შეეხება საექიმო მუშაობას, მესამე ყრილობის დავალება თითქმის შესრულებულია. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ერობას ჰქონია ერთი სამაზრო საავათმყოფო, შვიდი საექიმო ამბულატორია, ოთხი სამკურნალო. ყველგან ავათმყოფი მოსულა 60,000. აქიდან უაქიმიათ 37,000-ს რომლებიდან ციებ-ცხელებით ავათ ყოფილან 12,761, სისხლის ნაკლებობით 1383, ფილტვების ავათმყოფობით $8^{1}/_{2}\%$, ვენერიული $7/_{10}$. რაც შეეხება აფთიაქებს, მაზრაში გახსნილა ხუთ ადგილას: ახ. სენაკში, აბაშაში, ძველ სენაკში, ბანძაში და ლეძაძამეში. მოხსენებელმა აღნიშნა აგრეთვე, როგორ ტარდებოდა უფასო აქიმობა და ზოგიერთი შემთხვევებში ავათმყოფის პატრონი და ექიმების უკმაყოფილება, რომელიც აიხსნა მით, რომ ხშირათ ექიმებს იწვევენ უმნიშვნელო ავათმყოფობისათვის, რის გამო უკანასკნელნი ჯავრდებიან.

ივლიანე.

პროფესიონალურ კავშირებში

საქართველოს პროფ. კავშირის აღმასრულებელ კომიტეტში.

მუშათა კანონმდებლობა.

პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს მორიგ სხდომაზე მიღებულ იქნა შექმნა ისეთ კომისიისა, რომელიც გამოიმუშავებს მუშათა კანონმდებლობას. ამ კომისიაში უნდა შესულიყვნენ აღმასრულებელი კომიტეტისა და პროფ. კავშირთა წარმომადგენელნი და მცოდნე პირნი. ამის გამო აღმასრულებელ კომიტეტმა 9 ნოემბრის მორიგ სხდომაზე ხსენებულ კომისიაში თავის წარმომადგენლათ აირჩია ამხ. ს. მ. ზარეცკაია და პ. ბერიშვილი, კანდიდატათ ამხ. ი ბადრიძე.

საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოების წარმომადგენელნი საერთაშორისო პროფ. საბჭოთა ყრილობაზე.

საქართველოს პროფ. კავშირთა საბჭოების წარმომადგენლად პროფ. კავშირთა საერთაშორისო ყრილობაზე, რომელიც უნდა შედგეს ბრიუსელში 23 ნოემბერს, არჩეულ იქნენ ამხ. ირ. წერეთელი და კარლო ჩხეიძე.

პროფ. კავშირთა სეპარატიულ გამოსვლის გამო.

ვინაიდან ზოგიერთი პროფ. კავშირები თავის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხში სეპარატიულად გამოდიან, აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა, რომ ცალკე კავშირების დადგენილება ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხის შესახებ, უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში ხელმძღვანელ ორგანიზაციების ცნობით და მათი სანქციის მიხედვით. დადგენილ იქნა ეს საკითხი გაირჩეს თფილისის პროფ. კავშირთა საბჭოში.

იაფ-ფასიან სასადილოების მოწყობა.

აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა: მონაწილეობა მიიღოს იაფ ფასიან სასადილოების მოწყობაში, რომელიც განზრახული აქვს ქალაქის გამგეობას ქ. თფილისის კოოპერატიულ დაწესებულებებთან ერთად. ამ მიზნით, ამ საკითხის გამომუშავებელ კომისიაში გაიგზავნა ამხ. ცენტერაძე, გაჩეჩილაძე და ბადრიძე, გამოითქვა სურვილი, რომ პირველ რიგში იაფ ფასიანი სასადილოები გაიხსნას მუშათა რაიონებში.

შრომის ბირჟის გარეშე სამსახურზე მიღების გამო.

მოისმინა რა შრომის ბირჟის გამგის მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქის გამგეობამ მიიღო რეგისტრატორთა ჯგუფი შრომის ბირჟის გარეშე, აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა გამოძიებულ იქნას ეს საკითხი იმის მიხედვით, რომ სამსახურზე მიღება შრომის ბირჟის გარეშე შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

ქ. კაუცკი რკინისგზელებთან.

8 ნოემბერს ქ. კაუცკიმ თავისი მეუღლით ინახულა რკინის გზელთა კავშირის ცენტრალური გამგეობა, სადაც ის დაწვრილებით გაეცნო კავშირის საქმეებს და „რკინისგზელი“-ს რედაქციას. შემდეგ კაუცკამ დაათვალიერა მთავარი სახელოსნო და პლეხანოვის სახელობის კლუბი. წამოსვლის წინ ქ. კაუცკიმ თავისი ცოლით რკინისგზელებთან ერთად სურათი გადიღეს.

ს.-დ. პარტიაში

ქ. თფილისი. საქ. სოც.-დემ. მ. პ. კომიტეტის 9 ნოემბრის სხდომას დაესწრო კომიტეტის სრული შემადგენლობა. ამ სხდომაზე გაირჩა ერთი საყურადღებო კითხვა: გაზეთ „ახალ სხივში“ ზოგიერთი ამხანაგების გამოსვლები, როგორც პრესაში, ისე კრებებზე. ამ საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ილაპარაკეს თითქმის ყველა წევრებმა. მოგვყავს მოკლეთ მათი სიტყვები.

ლორთქიფანიძე. ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ ორი მიმდინარეობის შეთანხმებას. როგორც ერთს, ისე მეორეს უნდა მიუთითოთ მათ სუსტ მხარეებზე. პირველ ყოვლისა კი ეს კითხვა საბოლოოდ უნდა ამოწუროს თვით ფრაქციამ. უწმაწურ კილოს და გინებას, რასაკვირველია, ადგილი არ უნდა ქონდეს.

რუხაძე. დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ „სხიველები“ პირდაპირ გათიშვას აწარმოებენ. საჭიროა კითხვა დაისვას გადაჭრით. ისინი ან ჩვენთან უნდა დარჩენ, ან მოგვშორდენ. ასე შორს არც ერთი ჩვენი მოწინააღმდეგეც კი არ წასულა. ჩვენს შორის ადგილი არ უნდა ჰქონდეს ლვარძლსა და მოშხამვას. ასეთ დროს ხელის შეშლა ეს ამხანაგური საქციელი არ არის. ეს უნდა ყველამ გაიგოს.

კაპანაძე. ეს კითხვა დასმული იყო მესამე რაიონშიც, სადაც გამოირკვა, რომ გასაკრიტიკებელი ბევრია, მაგრამ როცა დაისვა საკითხი რა იქნება, რომ დღეს გადადგეს მთავრობა, როგორც ამას ჩვენი მოწინააღმდეგენი მოითხოვენ—მაშინ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ—უარესი იქნებაო. რაც აქ ამხ. ლორთქიფანიძემ სთქვა ის, რომ საქმეს უშველიდეს, მაშინ ჩვენ ყველა სიამოვნებით გავყვებოდით მის ნაჩვენებ გზას, მარა ასეთი შეხედულება, სხვა რომ არ იყოს რა, მეტათ გულუბრყვილო შეხედულებაა. ეს კითხვა ჩვენ რომ ძირითად ორგანიზაციებში გადავიტანოთ, დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი შეგნებული მომხრე მათ იქ არ ეყოლებათ. ასე მოხდა ავლაბრის რაიონშიაც. უკანასკნელმა დაგმო მათი მოქმედება და დაადგინა სასტიკათ ებრძოლონ მათ შეუფერებელ გამოსვლებს.

გიორგაძე. ამ საკითხის გადაჭრა არც ისე ადვილია, როგორც აქ ზოგიერთებს ჰგონიათ. განსხვავების ფესვები უფრო ღრმათ არის გადგმული და ზერელე შეხედულება და პალიატივები საქმეს არ გამოასწორებს. კითხვა უნდა პრინციპიალურათ დადგეს. თფილისის კომიტეტმა, როგორც თფილისის ორგანიზაციების ხელმძღვანელმა, უნდა მოიწვიოს შეერთებული სხდომა, სადაც „სხიველებიც“ იქნებიან. თფილისმა ანგარიში უნდა მოსთხოვოს მათ და ამნაირათ პასუხისმგებლობა ორგანიზაციების წინაშე უფრო საფუძვლიანი ამოწურვა იქნება პრინციპიალურ სახის კითხვებისა, რომელიც არსებობს სხიველებსა და ჩვენს შორის.

მანჯგალაძე. მეც ის ერთადერთი გზა მიმაჩნია სწორეთ, რომელიც ამხ. გიორგაძემ აღნიშნა. სხვა გზით ასეთი საკითხი არ გადაიჭრება. ის წერილი კი, რომელიც მოთავსებულია „სხივის“ უკანასკნელ ნომერში, ჰალარას ფსევდონიმით, ყოვლად დაუშვებელია. მასსა დღეს უკმაყოფილოა,—სწორეთ ამ უკმაყოფილებით, სარგებლობს გაზეთი „ახალი სხივი“.

პარტიაში კრიტიკა ყოველთვის სასარგებლოა, მაგრამ ისე შორს, როგორც „სხივი“ წავიდა, ყოვლათ დაუშვებელია. ყველა ამის შემდეგ წარმოდგენა ისეთი რჩება, თითქოს ორი პარტია არსებობდეს ჩვენში. მეც სწორედ იმ აზრისა ვარ, რომ მოწვეულ იქნას პარტიული ორგანიზაციების შეერთებული სხდომა და იქ დაისვას ეს საკითხი.

ივ. ლორია. მე არ მეგონა, რომ „სხივი“ ასე ფართოდ ისარგებლებდა დღევანდელ გაჭირვებულ მომენტით ისევ ჩვენდა საზარალოთ, მაგრამ დღეს ამაში ვრწმუნდები. ვერავითარი მთავრობა არსებულ პირობებში იმაზე მეტს ვერ მოგვცემს, რასაც ჩვენი მთავრობა იძლევა, საზოგადოთ უკუღმართ პირობებით სარგებლობა და გულუბრყვილო მასსის აყოლებაზე ანგარიშას აგება კარგი საქმე არ არის. მეც მომხრე ვარ ეს საკითხი ძირითად ორგანიზაციებში გადავიდეს.

თევზაძე. ზოგიერთ ამხანაგებს ჰგონიათ თითქოს „სხიველები“ არ იზიარებდნენ ჩვენს საერთო პოლიტიკას. ეს ასე არ არის.—ასე რომ იყოს, მაშინ ისინი ხომ თავიანთ საკუთარ პოლიტიკას წამოაყენებდენ. მოიგონეთ პარტიული თათბირი. იქ მათგან ახალი არაფერი თქმულა. მაშასადამე, რაშია საქმე?—იმაში, რომ „სხივის“ რედაქცია სრულებით უპასუხისმგებლოთ გრძნობს თავის თავს და იქ მიტანილი წერილები ანგარიშ გაუწევლათ იბეჭდება. ამის მაგალითია „ჰალარას“ წერილი. თფილისის მუშებმა უნდა დააფასონ პარტიის მთლიანობა და მისი პრესტიჟი. უკანასკნელი მძლავრი სიტყვა ჩვენს ორგანიზაციებს ეკუთვნის.

ტოროშელიძე. ამხ. გიორგაძემ სთქვა, რომ ამ კითხვას ჩვენ ზერელათ ვეხებითო. მე კი მგონია, რომ გადავაჭარბეთ. საქმე კრიტიკაზე კი არ არის, არამედ თვით კილოზე. დასაშვებია თუ არა ასეთ კილოზე წერა. ჩვენ უნდა გამოვსთქვათ ჩვენი აღშფოთება ასეთ საქციელის გამო და მათი მოქმედება გადავიტანოთ მასსაში მსჯავრის დასადებად. თფილისის ორგანიზაციებმა უნდა უთხრან მათ, რომ ჩვენ პარტიაში ასეთ კილოს ადგილს ვერ მივსცემთ. ამავე დროს მეორე მხარემაც უნდა გაიგოს, რომ სხვისი გათელვა და დაჯაბურება კარგი საქმე არ არის. საჭიროა ხელი მოვკიდოთ პარტიის გაჯანსაღების საქმეს.

ელიავა. ხალხში დიდი უკმაყოფილებაა ეკონომიურ ნიადაგზე და, რასაკვირველია, ასეთ დროს კრიტიკასაც დიდი გასავალი აქვს. დღეს, რომ ჩვენ ეს კითხვა მასაში გადავიტანოთ, ზიანის მეტს არას მოგვიტანს. ვინაიდან ამას შეიძლება უფრო დიდი გათიშვა მოყვეს. ამ საქმეს ხელს უწყობს ზოგიერთი ჩვენი ამხანაგებიც, ზოგიერთი რამ პირველად „სხივმა“ გამოაქვეყნა, რაც შეიძლებოდა „ერთობას“ გამოექვეყნებინა. ამ გამოქვეყნებამ „სხივს“ ავტორიტეტი მოუპოვა და ის უფრო პოპულიარული გახდა. რამდენათაც მეორე მხარე უფრო სწორ გზას აიღებს, იმდენად ნაკლები გასავალი ექნება „სხივს“.

ხარჯვილაძე. თფილისის მუშების ხელმძღვანელი არის თფილისის კომიტეტი, ამისათვის ამ კითხვაზე კომიტეტს თავის შეხედულება უნდა ქონდეს. კითხვა უფრო ფართოთ უნდა დაისვას: „სხიველები“ იძახიან ჩვენ პარტიის პატრიოტები ვართო. საჭიროა საბოლოოთ ვიცოდეთ, ვინ არის პარტიის პატრიოტი და მის ზნეობრივი ღირსების დამცველი. დაადგინეს: კითხვის გადასაჭრელათ თფილისის კომიტეტი ახლო მომავალში მოიწვევს შეერთებულ სხდომას: თფილისის და ცენტრალურ კომიტეტებისას, დამფუძნებელ კრების ფრაქციის ბიუროსას და გაზეთ „ერთობის“ და „სხივის“ წარმომადგენელთ.

შემდეგ მოისმინეს მოხსენება ცენტ. კომიტეტიდან და კითხვა მობილიზაციის შესახებ. დაადგინეს: რაიონებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღონ, რათა მობილიზაცია სასურველად იქნას ჩატარებული.

ვ.

თფილისი. შაბათს, 6 ნოემბერს, სახალხო გვარდიის ავტომობილების მოავარ სახელოსნოში შესდგა სახელოსნოს მუშების პარტიის წევრთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო 50 კაცამდე. თავმჯდომარეობდა ამხ. ვ. ზაქარიაშვილი. კრებამ განიხილა კითხვა სახელოსნოში მცირე კოლექტივის დაარსების შესახებ, რომლის მნიშვნელობა გააცნო ამხანაგებს ამხ. ა. ფარნიევმა. აზრთა გაცვლა გამოცვლის შემდეგ სხდომამ საჭიროთ სცნო სახელოსნოში დაარსებულიყო მცირე კოლექტივი. მცირე კოლექტივში არჩეულ იქნენ შემდეგი ხუთი ამხანაგები: ლ. კიკნაძე, მ. რუხაძე, გ. ცაბაძე, ვ. ზაქარიაშვილი და ი. გიორგობიანი, ხოლო მათ კანდიდატებათ: ამხ. ა. ჭინჭარიძე, დ. ტომბარაძე, ა. ყუკარიძე, მ. ოქროყანიძე. მეოთხე რაიონულ კოლექტივში წარმომადგენლათ ერთხმად იქნა არჩეული ამხ. ლ. კიკნაძე, რის შემდეგ კრებამ განიხილა რამდენიმე კითხვები.

X.

მუშათა შორის

ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მდგომარეობა პროვინციაში.

როგორც წინეთ, ისე დღესაც სხვებთან ერთად ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეთ, რომლებიც მსახურებენ ცენტრ ადგილებში, როგორიც არის მაგალითად: თფილისი, ქუთაისი, ფოთი და სხვა, ღებულობენ დახმარებას სურსათის სახით. როგორც გვესმის, ამ ბოლო ხანებში ცდილობენ გაუდიდონ მათ სულზე რაციონი პურის და სხვა მოუცილებელი საგნების ეს ყველაფერი კარგი და პატიოსანი. ახლა ვიკითხეთ ბატონებო, არიან თუ არა ასეთს მდგომარეობაში პროვინციების ფოსტ. მოსამსახურენი? ღებულობენ თუ არა ისინი სურსათის დახმარებას? ყველასათვის აშკარაა, რომ ისინი მოკლებულნი არიან ასეთს საშუალებებს. ავიღოთ მაგალითად ზუგდიდის მაზრის ფ.-ტ. მოსამსახურენი, რომლებსაც თითქმის ორი წელიწადია არ ღირსებია ასეთი დახმარება, და ამით საშუალებას მოკლებულნი—მშიერ ტიტველნი გულდამწვარნი შეჰყურებენ ცენტრებს. დღეს პროვინციელი მოსამსახურენი მეტს გაჭირვებას განიცდიან სურსათის მხრით, ვიდრე ცენტრებში. დიდ-ქალაქებში, სადაც ყოველ დღე გაჩაღებულია ბაზარი, საშუალება ეძლევა მოსამსახურეს შეიძინოს მაინც დღიური ლუკმა, თუ კი მას ფული ურჩება. სოფლათ კი ასეთი რამე იშვიათია. აღსანიშნავია, რომ, სოფლათ სიძვირე მეტია, ვინემ ქალაქათ. აღვნუსხავ შემდეგ ფასებს. ხეთაში დღეს გირვანქა ძროხის ხორცი ფასობს 70 მანეთი. ყველი 260 მან., კვერცხი 15 მან. (პურს თვალითაც ვერ დაინახავთ). შაქარი გირვანქა 500 მან., ნავთი გირვანქა 50 მან. საჟენი შეშა 15,000 მანეთი. ვგონებ, რომ ასეთი უმოწყალო ფასები—ტფილისშიც არ უნდა იყოს.

საჭიროა ყველა ამას დაუყონებლივ მიექცეს სათანადო ყურადღება, ვისგანაც ჯერ იყოს, რომ პერიფერიების მოსამსახურენი კმაყოფილდებოდნენ სურსათ-სანოვაგით ისე, როგორც ცენტრებში.

ხეთელი.

პროვინცია

თამაკონის თემი (სენაკის მაზ.). ეს ექვსი თვეა, რაც სამაზრო ერობამ ამ თემს დაუნიშნა ექიმი ბ. გ. გამყრელიძე, რომელიც მხურვალედ და ენერგიულათ შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას და ამ მცირე ხნის განმავლობაში მან თავისი ნაყოფიერი მუშაობით შესძლო დაემსახურებია საზოგადოების დიდი ნდობა და სიყვარული. გარდა პირადი მოვალეობისა—ის გულმოდგინეთ შეუდგა ხალხის სკოლის გარეშე განვითარების საქმეს, მისი მეცადინეობით წარსულ ზაფხულში აქ ორი წარმოდგენა დაიდგა, რომლის წმინდა შემოსავალი 14 ათასი მანეთით მან დააარსა თამაკონში უფასო სამკითხველო. დღეს თამაკონს რამოდენიმე ადგილობრივი პერიოდული გამოცემა მოსდის.

ეს თემი ოთხი საკმაოდ ვრცელი სოფლებიდან შესდგება (თამაკონი, ნამიკოლაოვო, ჯურძები და თარგამეული). მეორე მათთაგანი, ს. ნამიკოლაოვო, შესანიშნავია მთელ ზემო სამეგრელოში, იქ მეურნეობის გარდა მისდევენ თიხის მრეწველობას, თიხა საუცხოვო ღირსებისაა და ქურქლებიც ღირსებით ძლიერ კარგია, რომელიც გააქვთ სამეგრელოს სხვა კუთხეებში, სამწუხარო ის არის, რომ ეს დარგი ხელობისა აქ პრიმიტიულ მდგომარეობაშია, სასურველია სამაზრო ერობა იზრუნებდეს ამ ხელობის გაუმჯობესობაზე. კურსების დაარსებით ან სხვა რამე გზით, ეჭვი არ არის გაუმჯობესებული ხელობა სარგებლობას მოიტანს. ძლიერ კარგი იქნება აქ კრამიტის ქარხანა გაიხსნებოდეს, ვინაიდან სახურავი მასალა (ყავარი) ფასმა უმწვერვალეს სიძვირემდე მიაღწია, რაც ამ ორი წლის წინეთ 5—6 მანეთად ღირდა, იმაში დღეს 8—9 ათას მანეთს თხოულობენ. თუ კრამიტი ადგილობრივ გაკეთდა, მისი ამ ზომამდე გაძვირება წარმოუდგენელია, ვინაიდან ყოველგვარი პირობები ხელს უწყობს.

ამ თემში არსებობს ერთი სამეურნეო და შვიდი პირველ დაწყებითი სკოლა.

ერთად-ერთი სამრეწველო გზა, რომელიც სამაზრო ქალაქი სენაკს აერთებს ზემო სამეგრელოსთან გაუდის ამ თემს, რომელიც დღეს უნუგეშო მდგომარეობაშია; სამაზრო ერობა გვპირდებოდა ამ გზის გაკეთებას, ძლიერ კარგი იქნება—თუ დროზე მიექცევა ამას ჯეროვანი ყურადღება.

ამბაკო ჯავახია.

ს. კასპი 7 ოქტომბერს 1920 წ. სოფ. კასპში შესდგა საერთო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ქვემო ქალის თემის გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ყველაშვილი. კრებას მოხსენება გაუკეთა დამფუძნებელ კრების წევრმა ამხ. გ. ცინცაბაძემ, რომელმაც მშვენივრათ დაასურათა მუშაობა დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის; გააცნო შინაური და საგარეო პოლიტიკა ჩვენი მთავრობისა და საერთოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დღევანდელი მდგომარეობა. ხალხი მოხსენებით ძალიან ნასიამოვნები დარჩა და დასასრულ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია, „მოისმინა რა მოხსენება დამფუძნებელი კრების წევრის ამხ. ცინცაბაძისა დამფუძნებელი კრების და მთავრობის მუშაობის შესახებ, კრება იწონებს მათ მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მიესალმება მთავრობას და დამფუძნებელ კრებას და აღუთქვამს მათ, რომ ხალხი მუდამ ჭირშიც და ლხინშიც მათთან იქნება და უკანასკნელი სისხლის წვეთამდე იბრძოლებს მტრის საწინააღმდეგოთ, თუ კი ამას საჭიროება მოითხოვს.

კრ. თავმჯდომარე **ნ. ყველაშვილი.**

დიდი ვანის თემი (გურია) ვინ არ იცის დღეს, თუ რა გასაჭირი ადგია ყოველმხრივ ბედშავ ხალხს!? რამდენი შიმშილი, სიცივე, სიტიტვლე და ვაივაგლახი გამოიარა სოფლის მშრომელმა გლეხ-კაცობამ, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს უკეთეს მომავლისა. ის სულის სრული სიმშვიდით შეჰყურებდა მომავალ მოსავალს. უნდა აღინიშნოს, რომ გურიაში ძლიერ კარგი პირი უჩანდა მოსავალს. მაგრამ სამწუხაროთ, შემოდგომაზე ისეთი ცუდი ამინდები დაიჭირა, და დღესაც გრძელდება, რომ გლეხი ნახევრათ სასოწარკვეთილი შეჰყურებს თავის ამ უბედურებას. მშვენივრათ დამწიფებული სარგო—სიმინდი ბევრი ლპება, რადგან ქარმა ძირს დასცა მცენარე და მუდმივმა წვიმებმა ეს დაალპო. დღესაც აუღებელი აქვს ხალხის უმეტესობას მთის ყანები. არ ვიცით, რა ბედი ეწევა იმას, ვისაც ქვევით, საფონდო მიწებში აქვს ყანა და სადაც მუდმივი წყალი დგას. ჭალის ყანა პატრონისათვის წარმოადგენს უპირველეს წყაროს არსებობისას. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, კრეფა-ტეხის ამინდი ყოვლად ცუდია. სურებში მესამე, რაც სოფლის მაღლობებს და ზოგი ყანებიც ჩამოგვითოვა. დიდი ზარალია ყურძნის მხრითაც.

დიდ-ვანს წელს ეღირსა ღვინის დაყენება და ისიც ქარიშხალმა გაუნახევრა გატიტვლებული ხალხი შესევია ყანას და ყურძენს; იმედ-დაკარგული აღარ უყურებს დარს და ავდარს, ცდილობს შეინახოს მოსავალი. ძლიერ ცუდათაა საქმე, თუ ცოტა არ გამოიდარა. ბუნების სისასტიკის უკანასკნელი გაკვეთილით უნდა ვისარგებლოთ და ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ თავი დავახწიოთ მოსალოდნელ სიმშილობას. როგორც გავიგე, სამაზრო ერობას შეუდგენია პროექტი საზოგადო სიმინდის ბეღლის დასაარსებლად. ჩემის აზრით ეს პროექტი მიზანშეწონილი და კარგია და ყოველი ინტელიგენტის მოვალეობაა ხელი შეუწყოს ამ დიდ საქმის ცხოვრებაში სწრაფათ გატარებას.

დიდი ვანი პ. დ. სკოლის მასწავლებ.
ონიფანტე რამიშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ „ერთობის“ უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემს მცირე შენიშვნას: „სახალხო საქმის“ № 933-ში ხაშურიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში ბ. კორესპონდენტი, ეხებოდა სამკითხველოს მდგომარეობას, უნდა ავღნიშნო, რომ სიმართლეს მოკლებულია ბ. კორესპონდენტის ცნობა, ვითომ უყურადღებოთ იყოს დატოვებული ჩემი მოხსენება და სამკითხველოს ხაშურის ქალაქის თავი ბ. ა. ხუნდაძე და აგრეთვე ბ. ვ. ჩაქოვანი ძლიერ ყურადღებით ეკიდებიან ხსენებულ სამკითხველოს და მზრუნველობას უწევენ მას, ცდილობენ ახლად გაღებული სამკითხველო გააფართოვონ და მაღალ საფეხურზე დააყენონ.

სამკ. გამგე **იოსელიანი.**

პატივცემულო რედაქტორო! *) ნება გვიბოძეთ თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირთ, რომელთაც შეძლების დაგვარათ შემოწირულება გაიღეს კუტიანეთის სამკითხველოს სასარგებლოთ.

ცნობები

თელავის მაზრის სოფ. ჰკანის მცხოვრები ვანო კიპოთეს ძე კუჩმაზაშვილი და სიღნაღის მაზრის სოფ. ვაქირიდან დროებით თფილისში მცხოვრები, ვანო ილიას ძე ბეიტრიშვილი სექტემბრის 10-ს წავიდნენ ქ. სოხუმში, რის შემდეგ იმათგან არავითარი ცნობა არ მიგვიღია, თუ ვინმემ რამე იცის მათ შესახებ უმორჩილესად ვსთხოვ მაცნობოს გაზ. „ერთობის“ სტამბაში **გასო კვირიკაძეს.**

---

*) ადგილობის გამო შემომწირველთა სიას ვერ ვბეჭდავთ. რედაქ.

რედაქტორი ლევან ნათაძე.

განცხადებანი

ექიმი
რეზო მახაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სუსუნატის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დღის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ 4—7 საათ. ტელეფონი 12—46.
12 დეკ.

მასწავლებლები
სიმ. და თეკ. გრიაზნოვები
იყვანენ სარეპეტიციოთ და მოსამზადებლათ საშუალო და უმაღ. დაწყ. სასწავლებლისათვის. ყავთ სრულ წლოვანთა ჯგუფი 4 კლასის მოწმობისათვის. მისამართი ვერა. იზმაილოვის შესახვევი სახ. 6. ბინა 8. ნახვა შეიძლება საღ. 3—5 საათ. (3618—3—2)

ქართულ და რუსულ საშუალო
სასწავლებელში
1, 2, 3, 4, 5, 6, 7 კლასში შესასვლელად ვამზადებ ყველა საგნებში. ვასწორებ მათემატიკაში და ენებში ჩამორჩენილ მოწაფეებს. პლეხანოვის ქ. № 25, (შესავალი ალექსის ქ. 5) 9—12 საათ. 4—5 მაჩაბლის ბინა. (3627 5—3)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
გოკიელისი
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი მ. ა. შაურანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შ[illegible] დები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—[illegible] [illegible] [illegible] ქ. № 32. (21 დეკ.)

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებელნი, სპეციალურად მუცლის—კუჭის, ნაწლევების და სხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38.
(26 ნოემბ.)

ექიმი
ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. დიდი მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ.
(21 ნოემ.)

ქიმია
ნიკოლოზ მახვილაძემ
განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.
ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 3—დეკ.

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედ[illegible]
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55.
(18—ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის $10^{1}/_{2}$—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და [illegible] სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—35
(16—ნოემ.)

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი. ვაქცინოთერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ყვავის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე, საღამოს 5—7 საათ. ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრონ კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 და საღამოს 6—8 საათამდე.
11 დეკ.

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი
ჯიგლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფთ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 22, [illegible]

ქალი ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ, ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20 ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
პიღურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიულ სიფილისით (წამ. „606“ და „914“) ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს ტელეფონი 18—95. (1—დეკ.)

ექიმი
პ. ცუეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს:
საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილისი (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—$7^{1}/_{2}$ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარი სტამბა, [illegible] ქუჩა №4